ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 24 აპრილი, 2018 | №95 (7640) | ფასი: 50 თეთრი

## სომხეთის პრემიერი სერჟ სარგსიანი გადადგა: „პაშინიანი მართალი გამოდგა, მე შევცდი“



გვ.8

19 აპრილიდან

120 ამბავი

ალექსანდრე მაკედონელი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




# „რუსები უნდა გაღიზიანდნენ და იგრძნონ დისკომფორტი!“



გვ.4

„რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას შედეგი არ მოაქვს“

## ფილმ „ჰეროკრატიაში“ მონაწილეობისთვის ოთარ მიქელაძემ სააკაშვილს ბოდიში მოუხადა



გვ.4

## ზაზა სარალიძე: „თუ დამიმტკიცებენ, რომ ჩემი შვილი მირზა სუბელიანის შვილს „აჩმორებდა“, საჯაროდ ბოდიშს მოვიხდი“



გვ.2

„ნუ მომკლავ – აღასრულე სამართალი“ – აქცია საქალაქო სასამართლოსთან

## სალომე სამადაშვილი: „აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები დროებით მაინც უნდა შეგვეჩერებინა“



გვ.3



გვ.2

## ირაკლი აბუსერიძე: „გავარკვიეთ, მესი ჯობია თუ რონალდუ და „ოცნებაში“ დაპირისპირება დამთავრდა“

## ნინო ხურციძე სიმსივნემ დაამარცხა



გვ.10

სამართალი გვ.7

## ბაჩო ახალაიას სერგო თეთრაძის წამების საქმეზე 9 წელი მიუსაჯეს





## „არ მინდოდა, დაენახათ ბავშვებს მოკლული თამარი და იატაკზე გავახოხე აბაზანისკენ“

ვეფხია ბაქრაძე თაკო გამრეკელაშვილის მკვლელობის დეტალებს ყვება

ეკონომიკა გვ.6

## კალაძე: „ტექდათვალიერების პროცესი მტკივნეული იქნება, მას ბევრი ავტომობილი ვერ გაივლის“




## ქართული ხაჭაპური ნიუ-იორკს იპყრობს



## ირაკლი მაკალათია: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შემთხვევაში ბანკები მონოპოლიას დაკარგავენ“



ISSN 1987-9385

3 „როგორც საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ასევე უნდა იყვნენ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველები“

4 მეტროსადგურ დელისში მამაკაცი გარდაიცვალა

6 ბანკებს სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული მიწების დასაკუთრება აეკრძალებათ

4 თბილისის მეტრო შეიძლება გაჩერდეს – 300 თანამშრომელი გაფიცვას აპირებს

# ზაზა სარალიძე: „თუ დამიმტკიცებენ, რომ ჩემი შვილი მირზა სუბელიანის შვილს „აჩმორებდა“, საჯაროდ ბოდიშს მოვიხდი“

## „ნუ მომკლავ – აღასრულე სამართალი“ – აქცია საქალაქო სასამართლოსთან

შორენა მარსაგიშვილი

ხორავას ქუჩაზე მოკლული დავით სარალიძის მამა პროკურატურას ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს. ამასთან დაკავშირებით ზაზა სარალიძე სოციალური ქსელით საგანგებო განცხადებას ავრცელებს.

– კაკუბავა არ კმაროდა და საზოგადოებაშიც კი დაარხია ხმები პროკურატურამ, თითქოს ჩემი შვილი „აჩმორებდა“ მის შვილიშვილს.

ერთი ადამიანი მაინც გამოვიდეს და დაადასტუროს, რომ ეს შეურაცხყოფა დათოს მიმართ სიმართლეა და მთელ საზოგადოებას, თავად კაკუბავას, მისი ოჯახის წევრებს ბოდიშს მოვუხდი.

პასუხს ვითხოვ, რა საფუძველი ჰქონდა კაკუბავას ცილისმწამებლური განაცხადის გაკეთებისას, – წერს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე ზაზა სარალიძე.

დაიწყო თუ არა პროკურატურამ ბორის კაკუბავას განცხადებაზე გამოძიება, რატომ იყო მათთან ოჯახში მისული მირზა სუბელიანი, რატომ მიიღო ხორავას ქუჩაზე მომხდარმა შემზარავმა დანაშაულმა პოლიტიკური სახე, რას აპირებენ მოკლული დათო სარალიძის მეგობრები? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ **ზაზა სარალიძე** ესაუბრება.

***– სოციალურ ქსელში თქვენ დაწერეთ, რომ პროკურატურა თქვენს შვილზე ჭორებს ავრცელებს, რომ ის „აჩმორებდა“ ბორის კაკუბავას შვილიშვილს. უფრო კონკრეტულად შეგიძლიათ გვითხრათ, რა ხდება?***

– რა ხდება და პროკურატურა შეგნებულად ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ თითქოს ჩემი დათო „აჩმორებდა“ და სცემდა ბორის კაკუბავას შვილიშვილს, რომელიც, ამავე დროს, მირზა სუბელიანის შვილია.

ეს ვერსია აქამდე არსად არ მომისმენია, ახლა ამ თემას საზოგადოებაში უკვე აქტიურად განიხილება. ეს არის პროკურატურის გაკეთებული და ამაზე პასუხს მოვითხოვ.

თავისი შვილიშვილის „დაჩმორებაში“ ბორის კაკუბავამ ჩემი დათო რამდენიმე კვირის წინ ღიად დაადანაშაულა. ამ ცილისწამებასთან დაკავშირებით მაშინვე მივმართე პროკურატურას.

***– რა პასუხი მიიღეთ მათგან?***

– არანაირი რეაგირება. მართალია, იძახიან, რომ საქმე ძიებაშია, მაგრამ რა ვერ გამოიძიეს აქამდე, ვერ გავიგე. აუცილებლად უნდა გაირკვეს, რა მიზნით გააკეთა ასეთი განცხადება საჯაროდ კაკუბავამ და რა მიზანი აქვს პროკურატურას, როცა ასეთ ინფორმაციას ხალხში ავრცელებს.

***– მართალიც რომ იყოს ბორის კაკუბავა და თქვენს შვილს მართლა ეცემა და „დაეჩმორებინა“ მისი შვილიშვილი, ეს ვერაფრით გაამართლებს იმას, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა.***



– სოციალურ ქსელში დავწერე, რომ თუ ბორის კაკუბავა მართალი აღმოჩნდება, მას, მის ოჯახსა და საზოგადოებას საჯაროდ ბოდიშს მოვუხდი. ჩემი შვილის მხრიდან „დაჩმორებას“ მართლაც რომ ჰქონოდა ადგილი, ეს ვერანაირად ვერ გაამართლებს იმას, რაც პირველ დეკემბერს მოხდა.

იმ ბავშმა თავისი ნათესავის დახმარებით შეკრიბა თანატოლები, რომელიც 51-ე სკოლასთან დანებით შეიარაღებულები მივიდნენ. როგორც დამთავრდა ეს ამბავი, ყველამ ნახა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პროკურატურამ თავად დამარწმუნა იმაში, რომ მირზა სუბელიანის ბავშმა დაურეკა თავის დეიდაშვილს, მიხეილ კალანდიას, რომელმაც, თავის მხრივ, დაურეკა მეგობრებს და ისინი ერთად წამოვიდნენ საქმის გასარჩევად. არა, საქმის გასარჩევად კი არ წამოვიდნენ, დანები წამოიღეს იმისთვის, რომ იქ ვიღაც დაეჭრათ. ისინი არ მოელოდნენ, რა შედეგი მოჰყვებოდა ამ ფაქტს.

***– ისევ პროკურატურას და, როგორც თქვენ ამბობთ, მის მიერ გავრცელებულ ჭორებს დავუბრუნდეთ. თქვენთვის საიდან ან როგორ გახდა ცნობილი, რომ საგამოძიებო უწყება ავრცელებს ასეთ ინფორმაციებს.***

– ბოლო დროს რამდენიმე ადამიანმა დამისვა ასეთი შეკითხვა, მართლა „აჩმორებდა“ თუ არა ჩემი შვილი თავის სკოლელს. ამ კითხვებს უცნობი ადამიანები მისვამდნენ. ეს მაფიქრებინებს, რომ პროკურატურა შეგნებულად ავრცელებს ჭორებს.

***– ეს ინფორმაცია კაკუბავამაც გაავრცელა და იქნებ მისი ნათქვამიდან გამომდინარე სვამენ ამ კითხვებს?***

– ეს პირველად კაკუბავამ თქვა, მაგრამ მაშინ ასეთი კითხვით ჩემთვის არავის მოუმართია. ახლა უკვე სვამენ ამ კითხვებს და ამაში პროკურატურის ხელი ურევია. ამ შემთხვევაში ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ეს ჭორია თუ სიმართლე. მე უნდა დამიმტკიცონ, რომ ჩემი შვილი ვიღაცას „აჩმორებდა“.

***– ამის დამტკიცება მათთვის ძნელი არ იქნება. თქვენი შვილი თავს ვერ დაიცავს და თავის სათქმელს ვერ იტყვის.***

– მაგიტომაც ავრცელებენ ამ ჭორს – დათო გარდაცვლილია და ის თავის დაცვას ვერ მოახერხებს, ხმას ვერ ამოიღებს. ჰგონიათ, რომ რახან დათო ცოცხალი აღარ არის, ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც მათ უნდათ.

ფიქრობენ, რომ დათო გარდაცვლილია და მას აღარაფერი ეშველება, სამაგიეროდ, ამ ტყუილით იმ ბავშვებს გადაარჩენენ, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. ამის დაშვება არაფრით არ შეიძლება. დღეს ამ ბავშვებს ეს რომ შერჩეთ, ხვალ უარესს გააკეთებენ. არავისი შვილის უსაფრთხოება აღარ იქნება დაცული.

პირადად მე ძალიან შეწუხებული და შეშფოთებული ვარ მომავლის გამო, მეორე შვილიც მყავს – გოგონა. სხვა ბავშვების მსგავსად, ისიც საშიშროების წინაშეა. არასრულწლოვანებმა დაუსჯელობის სინდრომის ძალა თუ იგრძნეს, აქ ძალიან ცუდი ამბები მოხდება.

არსებული კანონი, რომელიც, ჩემი აზრით, მარაზმია, არასრულწლოვანებს აძლევს იმის საშუალებას, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ დაისაჯონ. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს ეს კანონი.

ძალიან გახშირდა შემთხვევები, როცა დანაშაულს არასრულწლოვანები სჩადიან. ხორავას ქუჩაზე მომხდარ ტრაგედიას საზოგადოება თითქოს უნდა გამოეფხიზლებინა, მაგრამ არა – კრიმინოგენური ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა.

***– 24 აპრილს იმართება აქცია, რომელსაც ორგანიზება თქვენი შვილის მეგობრებმა გაუკეთეს. რა აქციაა ეს და ვის შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება?***

– ამ აქციის მოწყობა დათოს მეგობრებმა გადაწყვიტეს. აქციასთან დაკავშირებით ერთი რამეც მინდა ვთქვა, რაღაც წინააღმდეგობებს წავაწყდით. დაკონკრეტებისგან თავს ვიკავებ, არც იმას დავასახელებ, ვინ გვიწევს წინააღმდეგობას. გვთხოვენ, რომ 24 აპრილს დაგეგმილი აქცია არ ჩატარდეს.

ეს აქცია არ ტარდება ჩემი შვილის გამო, ეს აქცია ტარდება სხვა ბავშვების დასაცავად. არაერთხელ ვთქვი და აქაც ვიტყვი, რომ დათოს მეგობრები სამაგიეროს გადახდაზე ფიქრობენ. მათ დღემდე უტრიალებთ თავში ის აზრი, რომ მოკლული მეგობრის გამო შური უნდა იძიონ. მე არ მინდა შურისძიება, მე სამართლიან გამოძიებას და დამნაშავეების დასჯას ვითხოვ.

ახალგაზრდების მიერ ორგანიზებული აქცია ერთგვარი გამაფრთხილებელი სახისაც იქნება – მთავრობა და პროკურატურა გონს უნდა მოეგოს. გონზე უნდა მოვიდეს საზოგადოებაც, სხვანაირად ვერ შევაჩერებთ ამ მკვლელობებს და უბედურებებს.

ამ აქციაში მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია. ვინც ხელის შეშლას შეეცდება, ყველას ჩემი შვილის მკვლელად ჩავთვლი.

აქვე ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ეს პოლიტიკური აქცია არ არის. მას ასეთი სლოგანი აქვს: „ნუ მომკლავ – აღასრულე სამართალი“. აქცია თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში, სასამართლო პროცესის პარალელურად გაიმართება.

***– პროცესზე ვისი დაკითხვა იგეგმება?***

– ზუსტად არ ვიცი. სამწუხაროდ, პროკურატურა ამ ინფორმაციას წინასწარ არ აჟღერებს. საგამოძიებო უწყება მხოლოდ პროცესის დაწყების შემდეგ გვეუბნება, ვინ დაიკითხება იმ დღეს.

***– ზემოთ თქვენ თქვით, რომ აქცია არ არის პოლიტიკური. ამ დღეებში იყო საუბარი იმაზე, რომ ხორავას ქუჩის საქმის გამოძიებამ პოლიტიკური სახე მიიღო. თქვენ რას ფიქრობთ ამაზე?***

– სამწუხაროდ, ამ საქმემ მართლაც პოლიტიკური შეფერილობა მიიღო, მაგრამ ეს არ არის ჩემი ბრალი. ეს პროკურატურის ბრალია, რომელიც მირზა სუბელიანს მფარველობს. საუბარია, რომ ის თავის მხრივ მათ ვანო მერაბიშვილზე გადაღებული კადრებით აშანტაჟებს.

ჩემთვის მთავარი სიმართლის დადგენაა, პოლიტიკური სახე ამ საქმეს პროკურატურამ და სუბელიანმა შესძინეს.

***– სუბელიანი ახსენეთ და მასთან დაკავშირებით ერთი რაღაც უნდა გკითხოთ. ის ამბობს, რომ ტრაგედიის შემდეგ თქვენს ოჯახში მოვიდა სამძიმრის სათქმელად და ბოდიშიც მოიხადა.***

– მირზა სუბელიანი მართლაც იყო ჩვენს ოჯახში მოსული. მე სახლში არ ვიყავი და ჩემს მეუღლეს ესაუბრა. მართლა მოგვისამძიმრა და ბოდიშიც მოიხადა, უთქვამს, შვილის აღზრდისას სადღაც შეცდომა დავუშვიო. ბოდიში საკმარისი არ არის, დამნაშავეების დასჯაა მთავარი.

# ირაკლი აბუსერიძე: „გავარკვიეთ, მესი ჯობია თუ რონალდუ და „ოცნებაში“ დაპირისპირება დამთავრდა“

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობაში დროებით დაზავდნენ. სამშვიდობო შეთანხმება უმრავლესობის ლიდერის არჩილ თალაკვაძის კაბინეტში შედგა, რომელიც გასულ კვირას მეამბოხე დავით ჭიჭინაძეს მკაცრ საუბარს დაჰპირდა.

შედგა თუ არა მათ შორის მკაცრი საუბარი, ეს უცნობი დარჩა. ჭიჭინაძე ამბობს, რომ თუ ვინმეს რამე ეწყინა, შეუძლია ცივი წყალი დალიოს.

არჩილ თალაკვაძე ამტკიცებს, რომ ამ ეტაპზე ყველა პრობლემა აღმოიფხვრა, თუმცა, ის რაღაც დეტალების გამხელას არ აპირებს.

– ჩვენს გუნდში დაპირისპირება არც ერთ სტრატეგიულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. ქვეყნისთვის მნიშვნელოვან არც ერთ საკითხზე გუნდში უთანხმოება არ არის. ჩვენ გვაქვს ძალიან მკაფიო ამოცანები, რომელთა გარშემოც გუნდი ერთსულოვანია.

რაც შეეხება ბოლო ორი კვირის განმავლობაში ჩვენი კოლეგების გაკეთებულ განცხადებებს, ამაზე შიდაპარტიული კონსულტაციები დავიწყეთ და უმოკლეს დროში ეს მოგვარდება. დავით ჭიჭინაძესთან მე მქონდა შეხვედრა, ის არის ჩემი კოლეგა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი. ის საკითხები, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ, საჯაროდ რომ გავახმოვანო, არ ვაპირებ. ის საკითხები, რაზეც პარლამენტის წევრები ამახვილებენ ყურადღებას, უმოკლეს დროში ამოიწურება, გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს და მათი შეჯამება იქნება საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე, – განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.



დაპირისპირება დახურულად და ამოწურულად გამოაცხადა თავად მეამბოხე ჭიჭინაძემ. დახურული შეხვედრიდან გამოსულმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას ყველა იმ კითხვაზე გასცეს პასუხი, რაც აწუხებდა.

– დაპირისპირება გავიარეთ და ისტორიას ჩავაბარეთ. უკან მიბრუნება არ ღირს და დანარჩენი ქრონოლოგიურად რა როგორ ხდებოდა, ეს თქვენ უფრო კარგად იცით, იმიტომ, რომ ყველა გაქვთ არქივში.

ნუ ეძებთ სხვა დინებებს, რაც იყო, ყველაფერი ზემოთ დევს. ჩემსა და არჩილს შორის კითხვები ამოწურულია... ნაწყენობა როგორ შეიძლება. ვისაც ეწყინაო, ცივი წყალი დალიოსო, ნათქვამია და ჯერ არ ცხელა ისე, რომ ცივი წყალი დავლიო, –-უთხრა დავით ჭიჭინაძემ ჟურნალისტებს.

ამასთან დაამატა, რომ თუ კიდევ იქნება მიუღებელი პირობები, ის არ მოერიდება შესაბამისი განცხადებების გაკეთებას.

გასულ კვირას „ოცნებაში“ ფიზიკურ დაპირისპირებამდეც კი მივიდა საქმე. ერთმანეთს ფიზიკურად ირაკლი აბუსერიძე და დავით მათიკაშვილი დაუპირისპირდნენ. ამ თემაზე მაშინვე გააკეთა კომენტარი აბუსერიძემ და განაცხადა, რომ კოლეგას იმაზე ეკამათებოდა, რაგბი ჯობია თუ ფეხბურთი.

ნუკრი ქანთარიამ ერს სულ სხვა ვერსია შესთავაზა და განაცხადა, რომ მისი კოლეგები იმას არკვევდნენ, მესი უფრო მაგარია თუ რონალდუ.

ახლა ირაკლი აბუსერიძე ამბობს, რომ მესი-რონალდუს ამბავი გარკვეულია და „ოცნებაც“ დაწყნარდა.

– არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა და არავისთან შეხვედრა არ გვქონია. ჩვენ ჩვეულებრივად შევხვდით ერთმანეთს და არანაირი პრობლემა არ გვაქვს და არც გვქონია. გავარკვიეთ, რაგბი ჯობია თუ ფეხბურთი, მესი ჯობია თუ რონალდუ და დავამთავრეთ საკითხი, – განაცხადა ირაკლი აბუსერიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სალომე სამადაშვილი: „აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები დროებით მაინც უნდა შეგვეჩერებინა“

## „რუსეთისგან ამ პოზიციას ველოდი“

ნათია ხურცილავა



ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, პარლამენტის წევრი **სალომე სამადაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ქალბატონო სალომე, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ქვეყნის გამთლიანებისთვის არსებობს რეცეპტი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ შემოიტანა, ეს არის პრაგმატული საგარეო პოლიტიკა და ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერება. რამდენად მისაღებია თქვენთვის ეს პოლიტიკა?***

— მე ვფიქრობ, რომ ქვეყნის გამთლიანებისთვის, საბოლოო ჯამში, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია სწორედ ის პოლიტიკა, რომელსაც ჩვენ ქვეყნის შიგნით გავატარებთ. მათ შორის, რასაკვირველია, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკა, რადგანაც საქართველო მიმზიდველი ქვეყანა უნდა იყოს ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის. ეს არის სწორედ ის რბილი ძალა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყენოთ და ეს რბილი ძალა ეფექტური უნდა იყოს. თუმცა, სამწუხარო რეალობა არის ის, რომ საქართველოდან ხალხი გარბის სწორედ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო. გარბიან იმიტომ, რომ ხედავენ, ჩვენს ეკონომიკას პერსპექტივა არ აქვს. ამიტომ, პრემიერ-მინისტრს არაადეკვატური წარმოდგენა აქვს, მის მიერ გატარებული პოლიტიკა როგორ აისახება ქართველი ხალხის, ჩვენი თანამოქალაქეების ცხოვრებაზე.

***— თქვენ ამბობთ, რომ აფხაზებისთვის, ოსებისთვის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობა, უვიზოდ მიმოსვლა არ იქნება მიმზიდველი?***

— არა, ამას არ ვამბობ. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას მიაჩნია, რომ ევროკავშირთან, ევროპასთან ურთიერთობის შესაძლებლობა იმიტომ არის კარგი, რომ მათ შეუძლიათ ლტოლვილის სტატუსი მოითხოვონ. შესაბამისად, არ მგონია, ასეთი ქვეყანა მიმზიდველი იყოს ვინმესთვის. ამიტომ, მაშინ, როდესაც ქვეყანაში შეჩერებულია ყველანაირი ეკონომიკური განვითარება, გაუგებარია, რა რბილი ძალა უნდა დაუპირისპიროს ქვეყანამ არსებულ ვითარებას, როგორ უნდა გახდეს მომხიბლავი ოკუპირებული რეგიონებისთვის?!

### „ნატოზე უარი ნებისმიერ ხელისუფლებას ძვირად დაუჯდება“

***— პრემიერ კვირიკაშვილის სამშვიდობო ინიციატივასთან დაკავშირებით რას იტყვით? გამყოფ ხაზს იქით და აქეთ ადამიანებს შორის ყოფით ურთიერთობას, ვაჭრობას, მიმოსვლას, რამე შედეგის მოტანა შეუძლია?***

— რა თქმა უნდა, ადამიანებს შორის, საზოგადოებებს შორის ურთიერთობები უნდა განვავითაროთ. თუმცა, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ინტერესებიც იყოს დაცული. კანონი ოკუპაციის შესახებ უნდა იყოს დაცული და ასევე, უნდა უზრუნველვყოთ ის, რომ ვაჭრობის შესაძლებლობები არ უნდა გახდეს ახალი უკანონო ეკონომიკური საქმიანობის საფუძველი, ახალი უკანონო ეკონომიკური კერები არ უნდა მივიღოთ.

მე ერგნეთის ბაზრობას შეგახსენებთ, რომელიც იყო ასეთი უკანონო ვაჭრობის წყარო, რომლის შედეგებიც კარგად გვახსოვს. ამიტომ ვამბობ, რომ რა სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცევა ეს ყველაფერი, რამდენად იქნება ეს ყველაფერი გამჭვირვალე, რამდენად არ დაირღვევა ჩვენი ინტერესები, მათ შორის ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია, ოკუპირებული ტერიტორიებიდან შემოსული საქონელი იყოს აღრიცხული, შესაბამისი სერთიფიცირება ჰქონდეს მას და ა.შ.

მთელი რიგი ტექნიკური საკითხებია, ამ ყველაფერს აქვს მნიშვნელობა. თორემ, საზოგადოებებს შორის ურთიერთობა რომ უნდა გავაღრმავოთ, აქ ორი აზრი არ არის. მსგავსი პროგრამა ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს იქნა შემუშავებული, ალბათ გახსოვთ.

***— აფხაზებისთვის სამედიცინო დახმარება, რთული ოპერაციების გაკეთება, სწორედ ნაციონალური მოძრაობის დროს იყო შემოღებული, ეს კარგად მახსოვს, მაგრამ რა შედეგი მოიტანა ამან?***

— სამწუხაროდ, 2012 წელს, როდესაც ამ ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, ამ ქვეყნის განვითარება შეჩერდა, ყველანაირი პერსპექტივა ქვეყანას წაერთვა, ამიტომ დღეს შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ რა შედეგი შეიძლება ამ ინიციატივებს მოჰყოლოდა, თუ საქართველო გააგრძელებდა განვითარებას და ერთ ადგილზე არ გაიყინებოდა.

***— რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სპიკერ მარია ზახაროვას განცხადებაზეც მაინტერესებს თქვენი აზრი. ელოდით მსგავსი ტიპის განცხადებას?***

— მას შემდეგ, რაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რუსეთის ფედერაციას მიმართა, სრულიად სამარცხვინო მიმართვა გაავრცელა, რომელზეც სწორედ ზახაროვამ უპასუხა, რუსეთის დაბალი რანგის ჩინოვნიკმა, სამწუხაროდ, ველოდი. ამ მიმართვის შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ არანაირი ნაბიჯი არ გადადგა იმისთვის, რომ რუსეთს ეგრძნო, ნათელი გამხდარიყო მისთვის, რომ მათ ტატუნაშვილის მკვლელობა პოლიტიკური ფასი დაუჯდებოდათ. მეტიც, რუსეთთან ურთიერთობა ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელა. მათ შორის აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებები. ასევე, დღეს არავინ არ საუბრობს სანქციების დაკისრებაზე.

რუსეთმა ძალიან კარგად გაიგო, რომ მას არანაირი პოლიტიკური ფასის გადახდა არ მოუწევს არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობისთვის და არც ადამიანების გატაცებისთვის ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებიდან. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ გზავნილი უნდა ყოფილიყო ძალიან მკაფიო.

***— რა გზავნილი შეიძლებოდა ყოფილიყო?***

— გზავნილი იქნებოდა აბაშიძე-კარასინის მოლაპარაკებების შეწყვეტა იქამდე, ვიდრე არ მოხდებოდა ტატუნაშვილის მკვლელობაზე ადეკვატური რეაგირება რუსეთის მხრიდან. გზავნილი იქნებოდა საერთაშორისო სანქციების დაწესების მოთხოვნა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

პარლამენტის მხრიდან მიღებული ცარიელი ქაღალდი ზეგავლენა არ იქნება. რუსეთის ხელისუფლებამ ძალიან ადეკვატურად შეაფასა, სწორად წაიკითხა საქართველოს ხელისუფლების გზავნილი, რომ არანაირი პოლიტიკური ფასის გადახდა მას არ მოუწევს და, შესაბამისად, ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდება ურთიერთობები. ამიტომ, ეს პოზიცია, რაც მოდის რუსეთიდან, სრულიად მოსალოდნელი იყო.

***— ქალბატონო სალომე, რუსეთისთვის არ არის გზავნილი, მაგალითად, ის, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს არ ამბობს ნატოზე?***

— ნატოზე ხელისუფლება უარს ვერ ამბობს, რადგან ეს არის ქართველი ხალხის არჩევანი. ნატოზე უარს ქართველი ხალხი ნებისმიერ ხელისუფლებას ძვირად დაუსვამს. საქართველოში ვერც ერთი ხელისუფალი ნატოზე უარის თქმას ვერ გაბედავს. ეს კარგად იცის ამ ხელისუფლებამაც.

თუმცა, ჩვენ ვხედავთ, რომ 6 წელი გავიდა ნატოს გზაზე და არანაირი პროგრესი არ გვაქვს. ამდენად, მე ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკა ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციისკენ რეალურად არის მიმართული, რომ მათი ძალისხმევა, რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ალიანსში ჩვენი გაწევრიანება, რეალურია. მე ვფიქრობ, რომ ისინი დეკლარირებულად საუბრობენ ნატოზე, რადგან ასეთია ქართველი ხალხის არჩევანი.

# „როგორც საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ასევე უნდა იყვნენ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებიც“

## მჟავანაძემ ალიევს წერილი მისწერა

შორენა მარსაგიშვილი

საინგილოში მცხოვრებ ქართველებს საკმაოდ მძიმე პირობებში უწევთ ცხოვრება. აქ მდებარე ქართული ეკლესიების დიდი ნაწილი დანგრეულია. რამდენიმე მათგანი ტუალეტად არის ქცეული. გადარჩენილ ტაძრებს ალბანური ძეგლების სტატუსი აქვს მინიჭებული. მათ ქართველი მომლოცველებისთვის წელიწადში მხოლოდ ორჯერ – 6 მაისს და 23 ნოემბერს აღებენ.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარემ, ნიკოლოზ მჟავანაძემ, საინგილოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით წინა კვირას სკანდალური განცხადებები გააკეთა. ამ საკითხზე ის ამ დღეებში პარლამენტს მიმართავს. გუშინ, 23 აპრილს კი აზერბაიჯანის საელჩოსთან გამართა აქცია.

აქციის მონაწილეებმა საინგილოში შექმნილი მძიმე ვითარება გააპროტესტეს და ოფიციალურ ბაქოს ქართველების უფლებების დაცვისკენ მოუწოდეს.

უფლებადამცველთა გაერთიანებამ აზერბაიჯანის საელჩოს წარმომადგენლებს წერილიც გადასცეს. ეს წერილი აზერბაიჯანის პრეზიდენტის სახელზეა. ნიკოლოზ მჟავანაძე იმედოვნებს, რომ ალიევი რაღაცას შეცვლის.

— საინგილო არის ქართული მიწა და რაც იქ ხდება, ეს ჩვენც გვეხება. ეს აქცია წინა კვირას დავაანონსე. მჯეროდა, რომ ბევრი ხალხი მოვიდოდა, მაგრამ მხოლოდ 100 ადამიანისთვის აღმოჩნდა საინგილო ტკივილი, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში გულდაწყვეტილმა მჟავანაძემ.

ის აზერბაიჯანის უმაღლეს ხელისუფლებას მოუწოდებს, მოაგვაროს ის პრობლემები, რომელთა წინაშეც მრავალი წელია საინგილოში მდებარე ქართული ტაძრები დგანან.

— ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებში არსებული ქართული ტაძრები სავალალო მდგომარეობაშია. ზოგიერთი საპირფარეშოდაა ქცეული, მაგალითად, ზაქათალის რაიონში წმიდა სამების მეცხრამეტე საუკუნის ტაძარი, ზოგი პირუტყვის თავშესაფრად. ზოგშიც ადგილობრივი ტელევიზიები ფილმებსა და კონცერტებს აწყობენ, რის დამადასტურებლად ქურმუხის წმიდა გიორგი ტაძარი გამოდგება.

სამწუხაროდ ამ ვანდალიზმის გამო ჯერ არავინ დასჯილა. ცალკე საუბრის თემაა ისიც, რომ მრევლს არ ეძლევა საშუალება, ერთი ორი გამონაკლისის გარდა, ეკლესიებში წირვა-ლოცვას დაესწროს, ტაძრების კარები მლოცველთათვის მხოლოდ დღესასწაულების დღეებში იხსნება. ვფიქრობ, თქვენი უშუალო ჩარევის შედეგად ამ პრობლემების გადაჭრა არ უნდა გაძნელდეს და ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას იმ ათეულობით ქართულ ტაძრებში, რომლებიც მიმოფანტულია ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რაიონებში, საშუალება უნდა მიეცეს ტაძრებში სიარულისა, სამღვდელოებას კი იქ ღვთისმსახურების აღვლენისა და არა მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში. ქართულ მხარესთან შეთანხმებით კარგი იქნება თუ დაიწყება სარესტავრაციო სამუშაოები იმ ტაძრებში, რომელთა მდგომარეობა ძალზე სავალალოა, — წერს მჟავანაძე ილხამ ალიევისადმი მიწერილ წერილში.



ამავე წერილში უფლებადამცველი იმაზეც საუბრობს, რომ ეთნიკურად ქართველებით დასახლებულ ადგილებში ქართული სკოლები არ ფუნქციონირებს.

მისივე თქმით, ზაქათალის და ბელაქანის რაიონში პრობლემაა ქართული სახელების და გვარების რეგისტრაცია ოფიციალურ საბუთებში.

— მსურველებს ქართულ სახელებს არ ურეგისტრირებენ. არც დაბადების მოწმობა გაიცემა და ვერც სკოლაში მიიყვან ბავშვს, თუ მას აზერბაიჯანულ სახელს არ დაარქმევ. არსებობს სპეციალური წიგნი, საიდანაც მშობელმა შვილის სახელი უნდა აარჩიოს. თუ ვინმეს რაიმე თანამდებობის დაკავება უნდა, ქართველებისთვის დიდი შეზღუდვებია. ყველაზე დიდი თანამდებობა ქართული სკოლის დირექტორობაა. ამის იქით ქართველისთვის თანამდებობა არ შეიძლება. ამიტომაც უმეტესად ქართველები მხოლოდ მიწაზე მუშაობენ, რის გამოც მათი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა უმძიმესია და უსახსრობის გამო ისინი ვერ ახერხებენ შესაბამისი ჯანდაცვის სერვისის მიღებას, — აღნიშნულია აზერბაიჯანის პრეზიდენტისთვის გაგზავნილ წერილში.

მჟავანაძე იმ ძალადობაზეც საუბრობს, რასაც აზერბაიჯანელი სამართალდამცავები ქართველების მიმართ იჩენენ.

უფლებადამცველი აზერბაიჯანის პრეზიდენტს იმაზეც ესაუბრება, თუ რა პირობებში ცხოვრობენ საქართველოში ეთნიკური აზერბაიჯანელები. ის ალიევისთვის იმის შეგონებასაც ცდილობს, რომ მეგობრობა ორმხრივი უნდა იყოს.

— ბოლო პერიოდში ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გახშირდა ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე ქართველთა შევიწროების ფაქტებიც. ამის დამადასტურებლად თუნდაც ბოლო ფაქტი გამოდგება, როცა აზერბაიჯანის პოლიციის მხრიდან სასტიკად იქნა ნაწამები კახის მაცხოვრებელი ბესო კუზიბაბაშვილი, რომელიც ახლაც უკანონოდაა დაკავებული. ცალკე საუბრის თემაა აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ქმედებები დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან და უშუალოდ საზღვარზე, სადაც ისინი ეთნიკურად ქართველებს დამამცირებლად და ღირსების შემლახველად ექცევიან.

კარგი იქნება, თუკი შეიქმნება ქართულ-აზერბაიჯანული სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმ პრობლემების აღმოფხვრაზე იმუშავებს, რომელთა გადაჭრასაც ათწლეულებია ითხოვს აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკური ქართველობა.

ბატონო პრეზიდენტო, საქართველოში აზერბაიჯანული ეთნოსი ასიათასობით მაცხოვრებელია. ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონებში მცხოვრები ეთნიკურად ქართული მოსახლეობისგან განსხვავებით, მათი რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც მათთვის იდეალური პირობების შექმნითაა განპირობებული. ვფიქრობ, მეგობრობა ცალმხრივი არ უნდა იყოს და როგორც საქართველოში ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, მსგავს პირობებში უნდა იყვნენ აზერბაიჯანში მცხოვრები ქართველებიც, — წერს მჟავანაძე ალიევისთვის მიწერილ წერილში.

# დავით ქაცარავა: „რუსები უნდა გალიზიანდნენ და იგრძნონ დისკომფორტი!“

## „რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას შედეგი არ მოაქვს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მოძრაობა „ძალა ერთობაშია“-ს ლიდერი **დავით ქაცარავა** პასუხობს.

***— ბატონო დავით, აფხაზეთსა და ოსეთში ოკუპანტების მიერ 35 ადამიანზე მეტია გატაცებული და დატყვევებული. ამ ფონზე კი რუსეთის საგარეო უწყება ამბობს, რომ საქართველოსთან ურთიერთობები 2012 წლის შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდა. ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

— თუ ჩვენ ბორჯომზე, ღვინოსა და მანდარინზე გავცვალეთ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიები, მაშინ საქმე ძალიან კარგად გვქონია.

***— მოვისმინეთ ასეთი ცინიკური განცხადებაც, რომ ტატუნაშვილის თემით სპეკულირებაც კი ვერ გააფუჭებს ამ ურთიერთობას. რას ნიშნავს ეს?***

— ჩემთვის გაუგებარია, რის ხარჯზე აწარმოებს ჩვენი ხელისუფლება ამ არგაღიზიანების პოლიტიკას?! რატომ თმობს, რას ღებულობს სანაცვლოდ?! ღვინის, ბორჯომის და მანდარინის სანაცვლოდ მიიღო რუსეთმა ოკუპირებული ტერიტორიები?! თუ ამის სანაცვლოდ ხდება ეს არგაღიზიანების პოლიტიკა, მაშინ ძალიან არასწორი გაცვლა მომხდარა, რბილად რომ ვთქვათ. ერთადერთი პოზიტიური რაც მოხდა, რაც ჩემთვის ნაკლებ პოზიტივს წარმოადგენს, ეს არის ტურისტული ნაკადი, რომელიც შემოდის რუსეთიდან საქართველოში.

***— ეს რატომ არის თქვენთვის ნაკლებ პოზიტიური?***

— იმიტომ, რომ ამ ტურისტულ ნაკადთან ერთად შემოდის იმპორტირებული რუსული რბილი ძალა, რომელიც არა მარტო ტერიტორიებს უკეთებს ოკუპაციას, არამედ, ჩვენი საზოგადოების ტვინების ოკუპაციას ახდენს ძალიან წარმატებით. ის არგაღიზიანების პოლიტიკა წარუმატებელია, ვინაიდან იმ გატანილი ბორჯომის, მანდარინების და ღვინის სანაცვლოდ, ჩვენ ვიღებთ ყოველ მესამე დღეს გატაცებულ ადამიანებს! ასევე ჩვენ ვხედავთ 52 კილომეტრ მავთულხლართებს და საოკუპაციო ხაზებს. ასევე ჩვენ ვხედავთ ყოველდღიურ ტერორს, ჩვენს მოქალაქეებს იტაცებენ არა მარტო ე.წ. სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შემთხვევაში, არამედ ხშირად ჩვენი ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ხდება ჩვენი მოქალაქეების გატაცება.



ეს არავის მონათხრობი არ არის, გეუბნებით იმას, რასაც ჩვენი ორგანიზაცია უყურებს და რა ინფორმაციასაც მოიძიებს. საოკუპაციო ხაზის მიმდებარედ მოსახლეობა ცხოვრობს შიშში. ანუ სრული ტერორია! ადამიანები ყოველ ღამე იმაზე ფიქრობენ, რომ ხვალ შეიძლება ისინი გატაცებულ იქნენ.

რაც შეეხება ტატუნაშვილის საქმეს, სრული ცინიზმია, როდესაც რუსული მხარის მხრიდან ასეთი ტიპის განცხადებები კეთდება. რას ნიშნავს ტატუნაშვილის თემაც ვერ გააფუჭებს ურთიერთობებსო? რომელ ურთიერთობებს? მონურს?! ეს ხომ არის ჩვენი დაცინვა და იმის დაფიქსირება, რომ ისინი ჩვენ არაფრად გვაგდებენ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება ძალიან ჯიუტად ეწევა არგაღიზიანების პოლიტიკას. კი ბატონო, ჩამოიტანეთ ბორჯომი, რომელიც რუსული ბიზნესია დღეს.

***— რას ნიშნავს რუსული?***

— იმას, რომ ბორჯომის მთავარი მეწილე რუსული კომპანიაა. რა თქმა უნდა, ბორჯომის გატანას ხელს შეუწყობენ, მაგრამ გვეუბნებიან, რომ მათი დამოკიდებულება და ჩვენი პოლიტიკა არაღიარებული ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არ შეიცვლება! ეს არის რუსეთის ოფიციალური პოზიცია! მაშინ რაში მდგომარეობს ჩვენი გაუმჯობესებული ურთიერთობები?!

თუ რუსი ტურისტი რომ ჩამოდის აქ, კარგ ღვინოს სვამს და გემრიელ საჭმელს მიირთმევს, ეს ათბობს ურთიერთობებს?! მე მეგობრობა და ურთიერთობები ორმხრივი ვიცი, ცალმხრივი – არა. ცალმხრივი მარტო ავტობანია კარგი.

დღეს ჩვენ ძალიან წამგებიან პოზიციაში ვართ. ეს არის არაპრინციპული პოზიცია და ის წამგებიანია, არ მუშაობს!

***— როდესაც დამთბარ და კარგ ურთიერთობებზე მიდის საუბარი, ოპოზიციაში გაჩნდა ეჭვები, რომ ეს არის რაღაც ფარული ურთიერთობები, რომლებიც საამშკარაოზე არ გამოაქვს ჩვენს ხელისუფლებას.***

— ეჭვების დონეზე საუბარი ცოტა რთულია, მაგრამ ჩემთვის ასეთი დამთმობი პოზიცია მიუღებელია. მე უბრალოდ ვფიქრობ, რომ არადამაკმაყოფილებელია არგუმენტები არგაღიზიანების პოლიტიკის შესახებ, რასაც ჩვენი ხელისუფლება გვთავაზობს.

***— ბატონო დავით, მოძრაობა „ძალა ერთობაშია“ საპროტესტო აქციებს მართავს. რამდენიმე საათით არ ატარებდით რუსულნომრიან მანქანებს, გადაკეტილი იყო მოძრაობა, ყოველივე ამას არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ითქვა ისიც, რომ თქვენ ამ კუთხით პროვოკაციას ეწევით, რომ ეს შედეგის მომტანი არ არის და ასე შემდეგ. ამაზე რას იტყვით?***

— მე არ დავეთანხმები ასეთ შეფასებას, ვინაიდან ასეთი ტიპის აქტივობა მკაფიო გზავნილია რუსეთის აგრესიულ და პროვოკაციულ ქმედებებზე. ის 2-3-დღიანი ვადა, რომელიც სტანდარტულად ჰქონდათ დაწესებული, ასეთი აქციების შემდეგ შემცირდა და ნაცვლად 3 დღისა, რუსი ოკუპანტები 24 საათში აბრუნებენ გატაცებულ ჩვენს მოქალაქეებს. ამიტომ ეს ნამდვილად არ არის პროვოკაცია, ეს არის ჩვენი რეაქცია!

აბა რა უნდა გავაკეთოთ, ვისხდეთ და უბრალოდ ველოდოთ, ჩვენს მოქალაქეებს რას დაუშავებენ?! დამერწმუნეთ, დიდი სტრესია, როდესაც ცხინვალის იზოლატორში ზიხარ და არ იცი, შენს გამტაცებელს რა გადაუტრიალდება თავში და რას დაგმართებს. ფიქრობ იმაზე, რომ შესაძლოა გეწვიოს ტატუნაშვილის ან ოთხოზორიას ბედი. ასე რომ, ძალიან არასწორია ჩვენი მისამართით გამოთქმული შეფასებები. მეტსაც გეტყვით, კაპიტულანტურია, რომ თურმე ჩვენ არ უნდა გავაღიზიანოთ რუსი! გაღიზიანდნენ, იგრძნონ დისკომფორტი! ამის შედეგად ჩვენი გატაცებული მოქალაქე შესაძლებელია უფრო მალე დავიბრუნოთ. ეს არ არის პროვოკაცია, ეს არის რეაქცია იმ ქმედებებზე, რასაც რუსეთი ჩვენ მიმართ აწარმოებს!

***— გაგრძელდება თქვენი მოძრაობის მხრიდან მსგავსი აქციები, რას აპირებთ სამომავლოდ?***

— ჩვენ მუდმივ ძიებაში ვართ. ეფექტური გზების და ხერხების ძიებაში. ჩვენ კიდევ უფრო ეფექტურ სქემებს ვამუშავებთ იმისთვის, რომ ჩვენი პატრულირება კიდევ უფრო მეტი სარგებლის მომტანი იყოს ჩვენი ქვეყნისთვის.

ჩვენ ვმუშაობთ აქტიურად ახალგაზრდებთან, დროა, აქტიური და ენერგიული ძალა დავუპირისპიროთ რუსულ რბილ ძალას, რომელსაც რუსეთი ძალიან წარმატებულად იყენებს ჩვენს ქვეყანაში.

# თბილისის მეტრო შეიძლება გაჩერდეს — 300 თანამშრომელი გაფიცვას აპირებს

თბილისის მეტროპოლიტენის 300-მდე თანამშრომელი, რომელთა ძირითად ნაწილსაც მემანქანეები წარმოადგენს, შესაძლოა, გაიფიცოს.

ამის შესახებ დამოუკიდებელი პროფესიული კავშირის „ერთობა 2013“-ის თავმჯდომარემ რატი კაპანაძემ განაცხადა. ინფორმაციას ილლნეწს.გე ავრცელებს.

სწორედ ამ კავშირის წევრები არიან ის თანამშრომლები, რომლებიც ხელფასის გაზრდის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაფიცვას გეგმავენ.

— ჩვენი მოთხოვნაა ხელფასის 45%-ის მომატება, ეს იმ პროცესებთან მიმართებაში, რაც ქვეყანაში თითოეულმა ჩვენგანმა განიცადა. კერძოდ, რა ზარალიც დოლარის კურსის მატებამ გამოიწვია. თუ ვერ შევთანხმდით, გადავალთ რადიკალურ ქმედებაზე. ჩვენ თუ შევხედავთ, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია, შევიტანთ განცხადებას იმის თაობაზე, როდის დაიწყება გაფიცვა. ეს პრობლემები, რასაც ჩვენ ვაყენებთ, მთლიანი მეტროპოლიტენის თანამშრომელთა პრობლემებია. ეს გაფიცვა ახლა არ დაწყებულა, ეს არის 2016 წლიდან დაწყებული პროცესი, მაშინ 3 საკითხი გვქონდა დასმული, ერთ-ერთი იყო ხელფასის მომატება, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ დავთმეთ პოზიციები. ხელფასის მატებასთან დაკავშირებით მაშინ იმიტომ დავთმეთ, რომ ჩაიწერა ასეთი პუნქტი შეთანხმებისას, რომ 2017 წელს უნდა მომხდარიყო ტარიფის ზრდა, სამწუხაროდ, მთელი ორი წელი გამოვიყენეთ დიალოგის რეჟიმში, მაგრამ ხელფასთან მიმართებაში შედეგი არ დადგა და ახლა ასეთ სიტუაციაში ვართ, რომ საგაფიცვო პერიოდში ვიმყოფებით, — განმარტა რატი კაპანაძემ.

მისი ინფორმაციით, თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და პროფკავშირს შორის მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ პოზიციების შეჯერება ჯერჯერობით ვერ მოხდა.

# ფილმ „ჰეროკრატიაში“ მონაწილეობისთვის ოთარ მიქელაძემ სააკაშვილს ბოდიში მოუხადა

გოგა ხაინდრავას ტელესერიალში „ჰეროკრატია“ გაბოს როლის შემსრულებელმა, კინორეჟისორმა და მსახიობმა ოთარ მიქელაძემ, მიხეილ სააკაშვილს ღია წერილით მიმართა და ბოდიში მოუხადა.




ბოდიში საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს!

ბატონო პრეზიდენტო! ბოდიში მინდა მოგიხადოთ იმისათვის, რომ:

1. 2012 წელს გავწევრიანდი მატყუარა „ქართულ ოცნებაში“;

2. 2012 წლის არჩევნებში ხმა მივეცი „ქართულ ოცნებას“;

3. როგორც მსახიობმა, მონაწილეობა მივიღე მრავალსერიიან სატელევიზიო მხატვრულ ფილმში „ჰეროკრატია“;

პატივისცემით, კინორეჟისორი ოთარ მიქელაძე

23.04.2018.

აღნიშნულ ინფორმაციას გამოეხმაურა მიხეილ სააკაშვილიც:

„თქვენ არ გაქვთ ბოდიში მოსახდელი, ივანიშვილს კი!“ — დაწერა სააკაშვილმა ფეისბუქზე.

# აშშ დეპარტამენტის ანგარიშში თემურ ბასილიას საქმეზე მსჯელობა სასამართლოს პასუხისმგებლობის ნაწილია

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში საქართველოს ყოფილი ვიცე-პრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილიას საქმეზე გაკეთებულ შეფასებას ეხმაურება და აღნიშნავს, რომ ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირის უკანონო მსჯავრდების გადახედვის წინ, საქმეზე გაკეთებული შეფასებები, ერთიანად საგულისხმო უნდა იყოს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებისთვის.




აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში აღნიშნულია შემდეგი: „კიდევ ერთ გადადებულ საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ უარყო პროკურატურის მოთხოვნა, რომ გადაეხედა თემურ ბასილიას, ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწის, 2008 წლის საქმისთვის. პროკურატურის მოთხოვნა ეფუძნებოდა გამოძიებას, რომელმაც გამოავლინა ყოფილი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი სერიოზული დარღვევები თემურ ბასილიას სისხლის სამართლებრივ დევნაში. მას შემდეგ, რაც უზენაესმა სასამართლომ დაავალა სააპელაციო სასამართლოს დაეწყო ამ საქმის გადახედვა, ივლისში სასამართლომ დაიწყო მისი განხილვა, თუმცა შემდგომში არაერთხელ გადადო სასამართლო სხდომები.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადებით, აშშ დეპარტამენტის ანგარიშში გაჭიანურებული სასამართლო სხდომები ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შემაფერხებელ გარემოებადაა დასახელებული. თემურ ბასილიას საქმეზე, თბილისის სააპელაციო სასამართლომ პირველი სხდომა 2017 წლის 25 მაისს დანიშნა, თუმცა პროცესი აღმოჩნდა ხანგრძლივი. 2017-2018 წლებში, საქმეზე არაერთი სხდომა ჩატარდა. საბოლოოდ, სასამართლო საქმეზე მოსამე-ნას 2018 წლის 3 მაისს დაასრულებს და შემაჯამებელ გადაწყვეტილებასაც ამავე დღეს გამოაცხადებს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიების პირობებში დადგინდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს, გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყო სს ,,ინტელექტბანკი“-ს გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მაშინდელ პროკურატურას სურდა დანაშაულში გამოევლინა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს ,,ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც პატიმარ გოგი სალიას და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია ,,ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას. პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ, თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

2017 წლის 27 იანვარს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც თემურ ბასილია, წინა ხელისუფლების პირობებში წარდგენილ ბრალდებაში, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

თბილისის სააპელაციო სასამართლო თემურ ბასილიას საქმეს მოსამართლეების: მაია ხოლოაშვილი (თავმჯდომარე), შორენა ყაველაშვილი და მზია ლომთათიძე შემადგენლობით განიხილავს.

# მეტროსადგურ დელისში მამაკაცი გარდაიცვალა



მეტროსადგურ დელისში მამაკაცი გარდაიცვალა. მიზეზი, სავარაუდოდ, გულის შეტევაა, თუმცა ინფორმაციას საბოლოოდ სამედიცინო ექსპერტები დაადასტურებენ, რომლებსაც ამ წუთებში ელოდებიან.

შემთხვევა ცოტა ხნის წინ მოხდა. ადგილზე იმყოფება საპატრულო პოლიცია.

როგორც შსს-ში „რუსთავი 2“-ს განუცხადეს, მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით აღიძრა, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ძალიან მახარებს, რომ ტურისტული სეზონი აჭარაში უკვე არის 12 თვის განმავლობაში“

– ძალიან მახარებს, რომ ტურისტული სეზონი აჭარაში უკვე არის 12 თვის განმავლობაში და ეს იგრძნობა არა მხოლოდ დიდ სასტუმროებში, არამედ საოჯახო სასტუმროებში და უკვე მოსახლეობის ფართო ფენები გრძნობენ საკუთარ თავზე იმ შემოსავალს, რომელიც ტურიზმს მოაქვს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნების“ ბათუმის საოლქო ორგანიზაციის კონფერენციაზე.

– ჩემთვის ყოველთვის ძალიან სასიხარულოა ჩამოსვლა აჭარაში, სადაც ყოველთვის პატრიოტული სულისკვეთება, სამშობლოს სიყვარული და განსაკუთრებული მაჯისცემა იგრძნობა.

გამოსვლის დაწყებამდე, მინდა, პირველ რიგში, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, რადგან თქვენი წვლილი იმ წარმატებაში, რომელიც ქვეყანაში იქმნება და იმ აღმშენებლობის პროცესში, უმნიშვნელოვანესია. პარტიის თითოეული აქტივისტის წვლილი იმ წარმატებაში, რომელსაც „ქართულმა ოცნებამ“ მიაღწია, უმნიშვნელოვანესია. აქედან გამომდინარე, მინდა, მადლობა გადაგიხადოთ და ასევე გამოვთქვა იმედი და რწმენა, რომ მომავალში ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო მეტ შედეგს მოიტანს.

მინდა, მოკლედ შევაჯამო პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მოღვაწეობის შედეგები.

ქვეყანაში, 2011 წლის შემოდგომიდან, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა დააანონსა პარტიის შექმნა და უდიდესი გარდატეხა მოხდა ქვეყნის მმართველობის სტილში და ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სრულიად სხვა პოლიტიკური გარემო, განსხვავებული იმისგან, რაც იყო მანამდე, ამ გარდატეხებმა დღეს მოიტანა შედეგები, რომლითაც ყველა ჩვენგანმა სამართლიანად უნდა იამაყოს. ყველაზე დიდი გარღვევა მოხდა ადამიანის უფლებების და ქვეყანაში თავისუფალი გარემოს შექმნის მიმართულებით.



დღეს ჩვენი ქვეყანა სამართლიანად ამაყობს, იქიდან გამომდინარე, რომ სრულიად სხვა დონეზეა დაცული ადამიანის უფლებები, თითოეული მოქალაქის საკუთრების უფლება და იმ მავნე პრაქტიკას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში იყო 2012 წლამდე, დღეს ადგილი აღარ აქვს. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებით, სადაც იყო ყველაზე მტკივნეული ჩავარდნები – ეს არის ჯანდაცვის სფერო, სოფლის მეურნეობა და ადგილობრივი მეწარმეობის მხარდაჭერა, ამ მიმართულებებით ჩვენმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა. ამ მიმართულებებით ჩვენ დღეს მიღწევები ნამდვილად გვაქვს, მაგრამ შემდგომ დახვეწას, როგორც ჯანდაცვის სფერო, ასევე ყველა სხვა მიმართულება საჭიროებს. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევები, რაც ქვეყანას აქვს საგარეოპოლიტიკური მიმართულებით. მოგეხსენებათ, დღეს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროპის შენგენის ზონის ქვეყნებში მიმოსვლა არის თავისუფალი. დღეს ჩვენს თანამოქალაქეებს ევროპაში წასასვლელად ვიზა არ სჭირდებათ და ეს არის პირველ რიგში ევროკავშირის პოლიტიკური ნდობა საქართველოს მოსახლეობისა და, რა თქმა უნდა, ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკის მიმართ.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ის დინამიკა, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა ეკონომიკური განვითარების მიმართულებით. ამის მთავარი წინაპირობაა ის თავისუფლება, რომელიც ქვეყანაშია, საკუთრების უფლების დაცულობის ხარისხი და რა თქმა უნდა, სტაბილურობის ის დონე, რომელიც ქვეყანაში დამყარდა იმ გონივრული საგარეო პოლიტიკის გამო, რომელსაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ახორციელებს.

მე ყოველთვის მიხარია, როდესაც აჭარაში ჩამოვდივარ და იგრძნობა ის განსაკუთრებული მაჯისცემა, გულისცემა, რომელიც მაღალი დინამიკით არის გამოწვეული. ძალიან მახარებს, რომ ტურისტული სეზონი აჭარაში უკვე არის 12 თვის განმავლობაში და ეს იგრძნობა არა მხოლოდ დიდ სასტუმროებში, არამედ საოჯახო სასტუმროებში და უკვე მოსახლეობის ფართო ფენები გრძნობენ საკუთარ თავზე იმ შემოსავალს, რომელიც ტურიზმს მოაქვს.

მინდა, თქვენთან ერთად შევაჯამო აჭარაში განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებიც ემსახურება რეგიონისა და ჩვენი ქვეყნის წინსვლას, თითოეული მოქალაქის ცხოვრების გაუმჯობესებას და ვისაუბრო დაგეგმილ პროექტებზეც, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებთ ჩვენ აჭარაში.

აჭარაში ვასრულებთ ძალიან მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს, – ეს გახლავთ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობა. ეს გზა აჭარის ტერიტორიაზე გააადვილებს საავტომობილო მიმოსვლას, გაიზრდება სატრანზიტო ტვირთბრუნვა. აჭარის ზღვისპირა ზოლიდან სატრანზიტო მოძრაობის ახალ გზაზე გადართვა ხელს შეუწყობს კურორტების ეკოლოგიურად გაჯანსაღებას.



ქობულეთის შემოვლითი გზის გარდა, მიმდინარეობს კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი – ბათუმის შემოვლითი გზის 14 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა.

ამასთან, მაღალმთიან აჭარაში, ხულო-ზარზმის მიმართულებით, 2020 წლისთვის დაგეგმილია ახალი, 47 კმ-იანი გზის გახსნა. ეს იქნება მაღალმთიან აჭარაში განხორციელებული ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რომლის განხორციელების შედეგადაც მგზავრობის დრო ამ მიმართულებით საათ-ნახევრით შემცირდება.

ასევე დაგეგმილი გვაქვს ბათუმი-სარფის გზის 11 კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა. ეს იქნება ევროპისა და აზიის ქვეყნების დამაკავშირებელი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რგოლი.

მიმდინარეობს ბათუმის ნაპირდაცვისა და სანაპირო ზოლის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულება 55 მილიონ ლარს აჭარბებს.

მოგეხსენებათ, რომ ეკონომიკის განვითარების მიზნით, ჩვენ ვახორციელებთ სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“. ამ პროგრამის ფარგლებში აჭარაში 21 პროექტის განხორციელებას შევუწყვეთ ხელი, რაც მოიცავს ინდუსტრიულ, სოფლის მეურნეობის, სასტუმროებისა და სხვა მიმართულებებს, ჯამური ინვესტიციის მოცულობა 43 მილიონი ლარია. ეს პროექტები 900-მდე სამუშაო ადგილს ქმნის.

ამავე პროგრამის მიკრო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში მხოლოდ ბოლო ორი წლის განმავლობაში 520 პროექტია მხარდაჭერილი. თანადაფინანსების სახით 4 მილიონი ლარი გავეცით. პროგრამის – „დანერგე მომავალი“ ფარგლებში, ათობით ჰექტრამდე ფართობზე გაშენდა ახალი ბაღები.

ჩვენ მობილიზებული გვაქვს ყველა რესურსი იმისათვის, რომ მაქსიმალურად განვავითაროთ რეგიონში ტურისტული ინფრასტრუქტურა. ამის ნათელი მაგალითია კურორტი გოდერძი, სადაც აქტიური განვითარების პროცესი მიმდინარეობს – უკვე მოეწყო შიდა გზები, შენდება 10-ზე მეტი ახალი სასტუმრო, მოეწყობა კიდევ 1320 მეტრის გზა და გვირაბი. ამასთან, იგეგმება „მწვანე ტბის“ ტერიტორიის განვითარება, უკვე დაწყებულია გოდერძის ალპური ბოტანიკური ბაღის გაშენება. დარწმუნებული ვარ, კურორტი გოდერძი 4 სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი ადგილი იქნება როგორც ტურისტებისთვის, ასევე, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩვენი მოსახლეობისთვის.

ფონდი „ქართუს“ მხარდაჭერით იგეგმება უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება – ბათუმის ბოტანიკური ბაღის ინფრასტრუქტურის მოწყობა, მათ შორის მწვანე კონცხი ბოტანიკურ ბაღს ახალი საბაგირო გზით დაუკავშირდება.

წელს ჩვენს ქვეყანაში ტურისტების რეკორდული რაოდენობა დაფიქსირდა და ეს კიდევ უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს. აჭარას აქვს ძალიან მდიდარი პოტენციალი და ჩვენ ყოველმხრივ შევუწყობთ ხელს აქ ტურიზმის კიდევ უფრო განვითარებას. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია აჭარაში მცხოვრები მოქალაქეებისთვის, რეგიონისთვის, ჩვენი ეკონომიკის წინსვლისთვის.

აღსანიშნავია, რომ აჭარის რეგიონს შეემატა 160 განთავსების ობიექტი, მათ შორის, როგორც მაღალი კლასის მსხვილი სასტუმროები, ასევე, საოჯახო ტიპის სასტუმროები, ჰოსტელები და სხვა.

უმნიშვნელოვანესია, რომ ტურიზმი ხდება შემოსავლების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო ჩვენი მოქალაქეებისთვის. აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, ბატონ ზურაბთან ერთად ვისაუბრეთ, აუცილებელია, ყოველდღიურად იყოს 4 რეისი, დილით და საღამოს ჩამოფრენა-გაფრენა დედაქალაქიდან, რათა როგორც დილით, ისე საღამოს მომავალ მგზავრს ჰქონდეს დროულად წასვლა-წამოსვლის საშუალება და დედაქალაქთან კავშირი იყოს უზრუნველყოფილი. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება როგორც ტურიზმის ხელშეწყობისთვის, ასევე მეწარმეებისთვის და საქმიანი ადამიანებისთვის, რათა მათ დროული კავშირი შეძლონ დედაქალაქთან.

მოგეხსენებათ, რომ სახელმწიფო ზრუნავს მაღალმთიანი სოფლების მცხოვრებლებზე და მათ მაქსიმალურად გვერდში უდგას. დაწყებულია მაღალმთიანი აჭარის გაზიფიცირების პროექტი, რომელიც ჭეშმარიტად შეიძლება ითქვას, რომ არის ისტორიული მნიშვნელობის. სამუშაოების 65% უკვე შესრულებულია. პირველ ეტაპზე პროექტი 11.000 აბონენტის გაზიფიცირებას უზრუნველყოფს.

აჭარაში მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აქვს 215 სოფელს და, შესაბამისად, ამ სოფლების მოსახლეობა სარგებლობს ხელისუფლების მიერ დაწესებული ყველა შეღავათით.

რაც შეეხება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით განხორციელებულ პროექტებს, ჩვენ ამ მიმართულებით კომპლექსურად ვმუშაობთ. როგორც იცით, პარალელურად ხორციელდება რამდენიმე პროექტი. სახელმწიფოს მხარდაჭერით, პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში, აჭარაში გაიხსნა 13 ახალი საწარმო და გაფართოვდა 6 საწარმო. ახალი საწარმოების სრული ინვესტიცია 10 მილიონ დოლარზე მეტია. ჩვენ 400 ათასი დოლარის გრანტი გავეცით. ეს პროექტები 840-მდე ადამიანის დასაქმებას ითვალისწინებს. ჩვენ მაქსიმალურად მხარს ვუჭერთ რეგიონში კოოპერატივების განვითარებას. აჭარაში უკვე 120-მდე კოოპერატივი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით.



უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სახელმწიფომ ძალიან დიდი ძალისხმევა გასწია იმ ზიანის მინიმუმამდე დასაყვანად, რაც აზიურმა ფაროსანამ მოუტანა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. ეს არის ძალიან დიდი გამოწვევა, არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოს არაერთი ქვეყნისთვის. ამ მიმართულებით მთავრობა მაქსიმალურად აქტიურად და კოორდინირებულად მუშაობს. თუმცა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ინტენსიურ ჩართულობას, მათი მხრიდან სპეციალისტების რეკომენდაციების ზედმიწევნით შესრულებას, რადგან მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი ამ გამოწვევასთან გამკლავება.

არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ცოტა ხნის წინ ჩვენ ბათუმის საზღვაო აკადემიას გადავეცით თანამედროვე სტანდარტების გემი „კადეტი“, რომლის ღირებულება მილიონ რვაასი ათასი ლარია. აკადემიას თავისი 90-წლიანი ისტორიის განმავლობაში საკუთარი სასწავლო-საწვრთნელი გემი არ ჰქონია. ჩვენ უნდა მოვამზადოთ მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. ეს გემი აკადემიას საშუალებას მისცემს, უპასუხოს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც თითოეული სტუდენტი ვალდებულია, გაიაროს პრაქტიკა გემზე.

მინდა შევეხო აჭარაში დევნილთა განსახლებისა და ეკომიგრანტების საკითხს. ჩვენ სახლები გადავეცით 440-ზე მეტ ეკომიგრანტ ოჯახს, ბათუმში კი, დევნილებისა და ეკომიგრანტებისთვის 380-მდე ოჯახისთვის შენდება ორი 16-სართულიანი კორპუსი.

ჩვენ ვაგრძელებთ ზრუნვას იმისთვის, რომ თითოეულ მოქალაქეს მაქსიმალურად მიუწვდებოდეს ხელი სახელმწიფო სერვისებზე. უკვე ფუნქციონირებს მუხაესტატეს და ჩაქვის საზოგადოებრივი ცენტრები. ასევე, საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობას ვგეგმავთ დაბა შუახევში.

ბათუმში აშენდა საერთაშორისო სტანდარტების სარაგბო ბაზა, შენდება UEFA-ს სტანდარტების 20 000 მაყურებელზე გათვლილი სტადიონი და 3000 მაყურებელზე გათვლილი სპორტის სასახლე, ასევე დაგეგმილია ოლიმპიური აუზის მშენებლობა. 2018 წელს, მოგეხსენებათ, ბათუმი მასპინძლობს ევროპის ვაჟთა ინდივიდუალურ ჩემპიონატს ჭადრაკში და მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადას.

რეგიონში რეაბილიტირდა გონიო-აფსაროსის ციხე, სხალთის სამონასტრო კომპლექსი, მიმდინარეობს პეტრას ციხის, ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის და ხიხანის ციხის რეაბილიტაცია.

მეგობრებო, ამ პროექტების განხორციელებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თითოეული თქვენგანის მხარდაჭერა. ჩვენს გუნდს აღებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა და ჩვენ ვალდებული ვართ გავამართლოთ ჩვენი ხალხის მიერ გამოცხადებული ნდობა.

მინდა, ასევე აღვნიშნო განსაკუთრებული აქტივობა და ზრუნვა აჭარის ხელისუფლების მხრიდან იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც არის რეგიონში. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ზურაბ პატარაძეს, მისი მხრიდან პრაქტიკულად ყოველდღიური კომუნიკაციაა იმ საკითხების გადაჭრისთვის, რომლებიც დღეს არსებობს აჭარაში. ასევე, მინდა, მადლობა გადავუხადო უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ქალაქის მერს, მაჟორიტარ დეპუტატებს, რეგიონის ხელმძღვანელებს, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებს, ვინაიდან მათი ჩართულობის გარეშე, იმის გარეშე, რომ მათ იგრძნონ თითოეული ადამიანის ტკივილი, მოიტანონ ეს პრობლემები იქ, სადაც პრობლემების გადაწყვეტა შეიძლება, ასევე მაქსიმალურად ადგილზე გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ასეთი წარმატების მიღწევა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვართ ილუზიაში, ძალიან კარგად ვხედავთ იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომლებიც დღეს ქვეყნის წინაშეა. დღეს კიდევ გვყავს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ ის კურსი, რომელიც აღებულია და თანმიმდევრული წარმატებების მშენებლობა, აღმშენებლობის პროცესი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, გვაძლევს საბაბს, ყველას გვქონდეს გარკვეული სიამაყის გრძნობა, რადგან ჩვენს ზურგსუკან უკვე არის მიღწეული წარმატებები. რა თქმა უნდა, კონსოლიდაციით, ერთად დგომით, პარტიის აქტივის ძალიან მნიშვნელოვანი ყოველდღიური შრომით, შესაძლებელია მივაღწიოთ კიდევ უფრო დიდ წარმატებას.

ჩვენ შემოდგომაზე გვაქვს მნიშვნელოვანი საპრეზიდენტო არჩევნები. „ქართული ოცნება“ წარდგება ღირსეული კანდიდატით და აქაც, ჩვენი ერთად დგომით, დაუღალავი შრომით, ჩვენ აუცილებლად შევძლებთ, კიდევ ერთ წარმატებას მივაღწიოთ ჩვენი პარტიის სახელით. დიდი მადლობა ყურადღებისთვის, გისურვებთ წარმატებებს, გვიგულეთ თქვენს გვერდით ჭირსა და ლხინში. დიდი მადლობა იმ წვლილისთვის, რომელიც თქვენ შეგაქვთ, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

# კალაძე: „ტექდათვალიერების პროცესი მტკივნეული იქნება, მას ბევრი ავტომობილი ვერ გაივლის“




თბილისის მერი კახა კალაძე ამბობს, რომ ტექდათვალიერების პროცესი მოსახლეობისთვის, სავარაუდოდ, მტკივნეული იქნება, რადგანაც მაღალი ალბათობით ბევრი ავტომობილი მას ვერ გაივლის.

„ვიცით, რომ 1 ივლისიდან სახელმწიფო დაწესებულებების ავტომობილების, ხოლო 1 იანვრიდან უკვე კერძო ავტომანქანების ტექდათვალიერება იწყება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია და ჩემი თხოვნა იქნება, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური მიზნებისთვის არ იყოს გამოყენებული. პროცესი მტკივნეული იქნება, ბევრი ავტომანქანა, სავარაუდოდ, ვერ გაივლის ტექდათვალიერებას“ – ამბობს კალაძე.

კალაძის თქმით, ამ პროცედურის გავლა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე დადებით გავლენას იქონიებს, რადგანაც მოუწესრიგებელი ავტომობილების გამონაბოლქვი სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ტექდათვალიერება აღდგა. ჯერჯერობით ავტომობილის შემოწმების ვალდებულება ყველა ავტომობილზე არ ვრცელდება, მას ახლა მხოლოდ იურიდიული პირების კუთვნილი ავტომობილები, 3.5 ტონაზე მძიმე ტრანსპორტი და 8 ადგილზე უფრო დიდი ტევადობის ავტომობილები გადიან. 2019 წლიდან შემოწმების ვალდებულება ყველა ავტომობილზე გავრცელდება.

2018 წლის იანვარ-მარტში ტესტირებაზე სულ 19,464 ავტომობილი იყო მისული, საიდანაც 26% ანუ 5,050 ავტომობილი ტესტირების პირველ ჯერზე ჩაიჭრა. ამ ავტომობილებს ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებისთვის ერთთვიანი ვადა მიეცათ. განმეორებით ტესტირებაზე კი 134 ავტომობილი ჩაიჭრა, შესაბამისად ამ ავტომობილებს მოძრაობის უფლება შეუჩერდათ.

ტესტირება ავტომობილის გამართულობის თითქმის ყველა ასპექტს ეხება დაწყებული მუხრუჭებით, დამთავრებული გამონაბოლქვში მავნე აირების შემცველობით. ტესტირების საფასური მსუბუქი ავტომობილებისთვის 60 ლარი იქნება, თუ ავტომობილი პირველ ჯერზე ვერ გაივლის ტესტირებას, მას ხარვეზების გამოსასწორებლად 1 თვე მიეცემა, რის შემდეგაც ის ხელმეორე ტესტირებაზე გავა, თუ მეორე ტესტირებაც წარუმატებლად გაიარა, მაშინ ავტომობილს მოძრაობის უფლება ჩამოერთმევა.

ამ პირველად შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ვარაუდის გაკეთება, რომ მომავალშიც ავტომობილების დაახლოებით ერთი მეოთხედი ტესტირების მოთხოვნებს პირველივე ჯერზე ვერ დაძლევს. შესაბამისად მათ ავტომობილის შეკეთება დასჭირდებათ. თუ ავტომობილი ხელმეორე ტესტირების შემდეგაც ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს, მას მოძრაობის უფლება შეუჩერდება. მოძრაობის უფლების გარეშე კი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ავტომობილი ღირებულებას დაკარგავს და ჯართად იქცევა.

საქართველოში 1.19 მილიონი ავტომობილია, მათი 46% 20 წელზე მეტი ხნის წინაა გამოშვებული.

საქართველოში ტექდათვალიერების ამოქმედება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს.

# ქართული ხაჭაპური ნიუ-იორკს იპყრობს



ამერიკულმა გამოცემა №ყ.ეატერ-მა ვრცელი სტატია მიუძღვნა ქართული სამზარეულოს ერთ-ერთ გამოჩენილ კერძს – ხაჭაპურს, რომელიც უფრო და უფრო მეტ პოპულარობას იძენს ნიუ-იორკის რესტორნებში.

„ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ხაჭაპური ნიუ-იორკის კლასიკა გახდა“, – წერს ამერიკული გამოცემა.

სტატიაში „ხაჭაპური ნიუ-იორკის ძირითადი კერძების რიცხვში გადავიდა“, აღნიშნულია, რომ ქართული ნაციონალური საჭმელი მხოლოდ ქართული ყველით უნდა დამზადდეს, ხოლო მისი რეცეპტი ასწლეულებს ითვლის.

სტატიის ავტორი სტეფანია ტიუდერი წერს, რომ ხაჭაპურს უკვე არა მარტო ქართულ რესტორნებში, არამედ ყველა სახისა და მიმართულების კვების ობიექტებში შეხვდებით. არსებობს სპეციალური რესტორანი, სადაც მხოლოდ ხაჭაპურებს ამზადებენ.

სტატიის თანახმად, განსაკუთრებული პოპულარობით აჭარული ხაჭაპური სარგებლობს, რომელიც „თავისი ფორმით წააგავს ნავს, რომელსაც კვერცხის გული ამშვენებს“.

აქვე მოყვანილია წიგნის „ქართული დღესასწაულის“ ავტორის დარა გლდშტეინის სიტყვები, რომ მართალია პირველი ხაჭაპურის დამზადების ზუსტი თარიღის დადგენა ძნელია, მაგრამ სავარაუდოდ, ის მე-12 საუკუნეს განეკუთვნება, „როდესაც საქართველომ რენესანსის ეპოქა გაიარა“.

# ბანკებს სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული მიწების დასაკუთრება აეკრძალებათ



უცხო ქვეყნის მოქალაქეებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შეძენა 2017 წელს გამოცხადებული მორატორიუმით დღესაც აკრძალული აქვთ. აკრძალვა ვრცელდება იმ კომპანიებზეც, რომელთა კაპიტალის ნახევარზე მეტს უცხოელები ფლობენ. ამ კომპანიების რიგებში არიან ბანკებიც. მათ სესხის უზრუნველყოფაში ჩადებული მიწების დასაკუთრების და შემდგომ რეალიზაციის პრობლემა შეექმნათ. შედეგი, რაც დადგა ისაა, რომ საფინანსო ინსტიტუტებმა სოფლის მეურნეობის სექტორის დაკრედიტება შეაჩერეს.

აგრარულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ბანკების ასოციაციასთან, საქართველოს ბიზნესასოციაციასთან და ბიზნესომბუდსმენთან სამუშაო შეხვედრაზე კონკრეტული ციფრებიც დაასახელა და თქვა, რომ მორატორიუმის შედეგად დაახლოებით 200 მილიონ ლარამდე სესხი შეფერხდა. ბანკების მხრიდან ამ საკითხის აქტიურად დაყენების შემდეგ აგრარულმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ინიცირებული ორგანული კანონის პარალელურად ცვლილებები მოქმედ მორატორიუმშიც შევა. ოთარ დანელიამ აღნიშნა, რომ საფინანსო სექტორი მიწის რეალიზებას მოახდენს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მათ ქონების დასაკუთრების შესაძლებლობა არ ექნებათ.

– მოქმედ მორატორიუმში გვინდა გავაკეთოთ ცვლილება, რომელიც ხელ-ფეხს გაუხსნის აგრო-სასურსათო მიმართულების დაფინანსებას. გვინდა ეს პრობლემა მოგვარდეს და ფერმერებისთვის ფინანსური რესურსი გახდეს ხელმისაწვდომი, – განაცხადა ოთარ დანელიამ.

საბანკო სექტორის წარმომადგენლებმა იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რაც გასულ წელს გამოცხადებული მორატორიუმის გამო შეიქმნა.

– არის სესხები, რომელიც აგროსექტორშია, ასევე არის სახელმწიფო პროგრამები, რომელიც აგროსექტროში არის საბანკო სექტორის თანამონაწილეობით. მორატორიუმის გამო ბანკები სესხის გაცემისგან თავს იკავებდნენ. არის ისეთი ნაწილი, როდესაც რეგისტრაციამდეა მისული უკვე საკითხი, ბანკს გადახდილი აქვს თანხა, მაგრამ იმის გამო, რომ მორატორიუმი იყო გამოცხადებული, საჯარო რეესტრში ვერ არეგისტრირებდნენ შემდგომში აუქციონზე გატანის მიზნით. აქედან გამომდინარე, ამან მთლიანობაში მიიღო ისეთი მასშტაბი, რომ საბანკო სექტორს თავი შეეკავებინა აგროსექტორთან ურთიერთობაში.

მივიღეთ დაპირება, რომ ორი კვირის ვადაში ეს პრობლემა მოხსნილი იქნება ნებისმიერი საკრედიტო დაწესებულებისთვის, – განაცხადა ბანკების ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ გვასალიამ.

# ირაკლი მაკალათია: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შემთხვევაში ბანკები მონოპოლიას დაკარგავენ“



საბანკო სექტორი, ბანკების საკრედიტო პოლიტიკა და ჭარბვალიანობა, ამ თემებზე ისაუბრეს რადიო კომერსანტის გადაცემაში „კომერსანტის თემა სალომე სოსელიასთან ერთად.“ გადაცემაში ეკონომიკის დოქტორმა, ირაკლი მაკალათიამ საბანკო სექტორში არსებულ პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების შესახებ ისაუბრა.

– დღეს საქართველოში ფინანსური ბაზარი საბანკო სექტორის მიერაა მონოპოლიზებული, ამასთანავე, საბანკო სისტემაშიც არსებობს მონოპოლია, სადაც ძალაუფლება ერთ ან ორ ბანკს აქვს გადანაწილებული. ბანკები აწესებენ იმ პირობებს, რაც მხოლოდ მათთვის არის მომგებიანი და ნაკლებად ითვალისწინებენ მომხმარებლების ინტერესებს.

არსებული პრობლემების მეორე მთავარი მიზეზია მომხმარებელთა დაბალი გადახდისუნარიანობა. მოსახლეობის უმეტესობას სესხები არა ბიზნესის განვითარებისთვის ან დასაწყებად, არამედ პირველადი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოაქვს. ეს ადამიანები გამოტანილ ფულს მხოლოდ ხარჯავენ, ეკონომიკურ დოვლათს კი ვერ ქმნიან, – ამბობს ირაკლი მაკალათია.

ეკონომიკის დოქტორი გამოსავალს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში ხედავს. მისი თქმით, სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბებით, მოქალაქეები გახდებიან სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ეკონომიკური აქციების მესაკუთრეები. ეს შექმნის განვითარებულ და კონკურენტუნარიან საფონდო ბაზარს, ბანკები დაკარგავენ ფინანსურ ბაზარზე მონოპოლიას და ექნებათ მეტი სტიმულირება გადაიბირონ მოსახლეობა და შესთავაზონ მათ სესხი დაბალ პროცენტად.

# მაღლივი კორპუსის ბაგებთან დამაკავშირებელი საბაგირო, სავარაუდოდ, მაისში გაიხსნება

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის ბაგებთან დამაკავშირებელი საბაგირო, სავარაუდოდ, მაისში გაიხსნება. ამის შესახებ „კომერსანტს“ პროექტის განმახორციელებელი კომპანია შპს „საქსპეცტრანსის“ დირექტორის მოადგილემ ვანო მეფარიშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, უკვე დასრულებულია საბაგიროს მშენებლობა/მონტაჟი, დარჩენილია ეკონომიკის სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურში შემოწმების გავლა, რომლის შემდეგაც ობიექტი ექსპლუატაციაში შევა.

რაც შეეხება იმას, თუ როდისთვის იგეგმება საბაგიროზე შემოწმების დაწყება და როდის დასრულდება სამუშაოები, ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში აცხადებენ, რომ კანონმდებლობის შესაბამისად, შემოწმების პროცესს ორგანიზება უნდა გაუკეთოს კომპანია „საქსპეცტრანსმა“. მათი ინფორმაციით, კომპანიის მიერ შემოწმების ორგანიზება სააგენტოზე არ არის დამოკიდებული.

სააგენტოს ინფორმაციით, საბაგირო გზამ უნდა გაიაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი გამოცდა და ტესტირება და ამის შედეგად მიიღოს შესაბამისობის სერტიფიკატი.

– ამის შემდეგ მას ექსპლუატაციაში მიიღებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო. ექსპლუატაციაში მიღების ვადები დამოკიდებულია „საქსპეცტრანსის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული, ზემოაღნიშნული ღონისძიებების უზრუნველყოფაზე, – აცხადებენ სააგენტოში.



როგორც ცნობილია, აღნიშნული საბაგირო დაახლოებით 20 წელია გაჩერებულია. საბაგირო გზის და ვაგონების რეაბილიტაცია 2016 წლის სექტემბერში დაიწყო. 2017 წლის ოქტომბერში მეფარიშვილი აცხადებდა, რომ საბაგირო დასრულებული იყო და ის რამდენიმე დღეში გაიხსნებოდა. ობიექტის გახსნა ტექნიკური მიზეზების გამო გადაიდო.

საბაგიროს ორი ვაგონი ექნება და თითოეული მათგანი დაახლოებით 20 ადამიანზე იქნება გათვლილი. საბაგიროს მეშვეობით „მაღლივი – ბაგების“ მიმართულებით გადაადგილებას დაახლოებით 3 წუთი დასჭირდება.

## ვარკეთილში 20 წლის ბიჭი ყელში დაჭრეს

22 აპრილს ინციდენტი მოხდა ვარკეთილის ზემო პლატოზე.

ადგილობრივების განცხადებით, 20 წლის ბიჭი ყელის არეში დაჭრეს. მას პირველადი დახმარება უცნობმა გოგონამ გაუწია. მეზობლებმა სასწრაფო სამაშველო ბრიგადა გამოიძახეს და დაშავებული ახლოს მდებარე კლინიკაში გადაიყვანეს.

ექიმის თქმით, პაციენტს ჭრილობა დაუმუშავდა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

თავდასხმის ფაქტს უარყოფს შინაგან საქმეთა სამინისტრო. უწყებაში ამბობენ, რომ ახალგაზრდამ თვითდაზიანება მიიყენა.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.



## ზღვის ნაპირზე ერთი გარდაცვლილი, მეორე კი უგონო მდგომარეობაში მყოფი კაცი იპოვეს

### რა მოხდა ბათუმში

ბათუმში, ზღვის სანაპიროზე გარდაცვლილი მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ნაპოვნია მეორე მამაკაცი, რომელიც უგონო მდგომარეობაში იყო.

ორივე მათგანი საქართველოს მოქალაქეა.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, პირველადი მონაცემებით, ცხედარს ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ის 115-ე თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით მიმდინარეობს და ისჯება თავისუფლების შეზღუდვით 3 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით 5 წლამდე.

რაც შეეხება მეორე ადამიანს, შსს-ს ცნობით, მას ალკოჰოლის ინტოქსიკაცია აღენიშნებოდა.

## „არ მინდოდა, დაენახათ ბავშვებს მოკლული თამარი და იატაკზე გავახოხე აბაზანისკენ“

### ვეფხია ბაქრაძე თაკო გამრეკელაშვილის მკვლელობის დეტალებს ყვება

ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის თამარ გამრეკელაშვილის მკვლელობაში ბრალდებულმა დაკავების შემდეგ გამოძიებას ჩვენება მისცა და ჩადენილი დანაშაულის შესახებ ისაუბრა.



ვეფხია ბაქრაძის ჩვენების მცირე ნაწილს გაზეთი „კვირის პალიტრა“ ავრცელებს. ჩვენებაში ბრალდებული ამბობს, რომ მოკლული მისი და ნათელა გაბოძის ურთიერთობის წინააღმდეგი იყო, რის გამოც ის 13 აპრილს თამარ გამრეკელაშვილთან ურთიერთობის გასარკვევად მივიდა. ამასთან, ბრალდებულის ინფორმაციით, 2017 წელს, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ის და ნათელა გაბოძე კვლავ ერთად ცხოვრობდნენ.

„13 აპრილს, გადავწყვიტე პირისპირ მენახა თამარი და საბოლოოდ გამერკვია, რატომ იყო ჩემი და ნათელას ურთიერთობის წინააღმდეგი. ასევე ვიცოდი, რომ ნათელა გვიანობამდე იქნებოდა სამსახურში, ხოლო სახლში მარტო უნდა ყოფილიყო თამარი. დაახლოებით 19:00 საათი იქნებოდა, როდესაც გავაჩერე მანქანა ე.წ. მრგვალ ბაღთან და ფეხით გადავედი მათ სახლში. კარები ღია დამხვდა. შევედი და დავრწმუნდი, რომ არავინ იყო. გავაღე მაცივარი, გამოვიღე საჭმელი და არაყი. დავლიე რამდენიმე ჭიქა და გამოვედი სახლიდან. წავედი ტაქსით კოსტავას ქუჩისკენ, რადგან მანქანაში აღარ მქონდა ბენზინი. შევირბინე „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურზე, შევიძინე საწვავი და ტაქსით ამოვედი ისევ ბარნოვის ქუჩაზე, ისევ თამარის სანახავად. ისევ არ დამხვდა“, – წერს ჩვენებაში ბრალდებული.

ვეფხია ბაქრაძის ჩვენების თანახმად, მან ნათელა გაბოძის რამდენიმე ტანსაცმლის დაჭრა და დაწვა გადაწყვიტა, რისთვისაც ავტომანქანიდან დანა ამოიტანა. ბაქრაძის ინფორმაციით, მან დაჭრილ ტანსაცმელს ბენზინი გადაასხა, თუმცა მათი დაწვა გადაიფიქრა.

„გადავწყვიტე დაწყნარება და ჩავჯექი „კრესლოში“, რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდნენ თამარი და მისი ბავშვები. მივესალმე. მან მითხრა, რატომ შემაშინეო, შემდეგ ატეხა ყვირილი და გაიქცა ფანჯრისკენ. ვუთხარი, გაჩუმებულიყო, რადგან მსურდა მასთან ურთიერთობის მოწესრიგება, რადგან იგი უშლიდა ნათელას ჩემთან ურთიერთობას. თამარმა თხოვა თავის შვილებს და მეც ვთხოვე, ბავშვები ცალკე ოთახში შეეყვანა. მათ ვუთხარი, რომ ვიყავი ლიკას შვილების ბაბუა და არ შეშინებოდათ. თამარმა ამის შემდეგ ისინი შეიყვანა ოთახში და მიხურეს კარები, რის შემდეგაც ისევ ყვირილით გაიქცა შემოსასვლელი კარისკენ. ამის დანახვაზე გავეკიდე და დავეწიე, მანქანიდან ამოტანილი დიდი ზომის დანით სხეულის სხვადასხვა ადგილებში მივაყენე მრავლობითი ჭრილობა, რის შედეგადაც გარდაიცვალა ადგილზევე. ვინაიდან არ მინდოდა დაენახათ ბავშვებს მოკლული თამარი, იატაკზე გავახოხე აბაზანისკენ“, – აღნიშნავს ჩვენებაში ბრალდებული.

შეგახსენებთ, რომ 13 აპრილს, თბილისში, ბარნოვის ქუჩაზე 25 წლის თამარ გამრეკელაშვილს ორი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ, ყელი გამოჭრეს. მომხდართან დაკავშირებით შს სამინისტრომ 14 აპრილს, მოკლულის მამინაცვალი, ვეფხია ბაქრაძე თელეთში დააკავა.

გამოძიება 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობის ნიადაგზე ჩადენილ განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში გულისხმობს. აღნიშნული მუხლი 16-დან 20 წლამდე ან უვადო პატიმრობას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა ბარნოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის საქმეზე კიდევ ერთი პირი თემურ ბაქრაძე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით 15 აპრილს დააკავეს. ჩადენილი დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

**ინტერპრესნიუსი**



## ბაჩო ახალაიას სერგო თეთრაძის წამების საქმეზე 9 წელი მიუსაჯეს

გუშინ, 23 აპრილს, თბილისის საქალაქო სასამართლომ „სერგო თეთრაძის საქმეზე“ საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დამნაშავედ ცნო წარდგენილი ბრალდების ყველა ეპიზოდში.

კერძოდ, იგი დამნაშავედ არის ცნობილი სერგო თეთრაძის წამების და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ორგანიზების ეპიზოდებში, დავით ლონდარიძის წამების ეპიზოდში, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ეპიზოდში, სამსახურებრივი სიყალბის და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში.

სასამართლომ ასევე დამნაშავედ ცნო ამავე საქმეში ბრალდებული, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე – დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში დახმარების და სამსახურებრივი სიყალბის ეპიზოდში.

ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი და სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2011 წლის სექტემბერში, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩო ახალაიამ, წარმატებული ხელმძღვანელის სახელის მოპოვების მიზნით, ორგანიზება გაუწია და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს დაავალა უდანაშაულო მოქალაქეთა დაკავება და აღიარებითი ჩვენებების მიღება მათი წამების გზით, თითქოსდა ისინი ჩადიოდნენ რუსეთის სასარგებლოდ „ჯაშუშობას“. აღნიშნულს იგი გაავრცელებდა მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით, თითქოსდა გამოვლენილი ჰყავდათ ე.წ. „ჯაშუშური“ ჯგუფი.

2011 წლის სექტემბერში სამხედრო პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაკავებულ იქნა შეიარაღებული ძალების ვიცე-პოლკოვნიკი დავით ლონდარიძე, მასთან ერთად ე.წ. „ჯაშუშობაში მხილებული“, თადარიგის პოლკოვნიკი სერგო თეთრაძე და კიდევ ორი პირი. სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში, თავდაცვის ყოფილი მინისტრი და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, სხვა პირებთან ერთად ჯაშუშობის აღიარების მოთხოვნით, მრავალი საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სცემდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ დაკავებულ პირებს იმ მიზნით, რათა მათგან მიეღოთ აღიარებითი ჩვენებები, თითქოსდა ისინი ჩადიოდნენ ჯაშუშობას საქართველოს წინააღმდეგ.

დაკავებულმა სერგო თეთრაძემ, მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული ძალადობისა, არ აღიარა მისთვის დაბრალებული დანაშაული. ამის გამო, თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილესთან ერთად ორგანიზება გაუკეთა სერგო თეთრაძის შემდგომ წამებას და სექსუალურ ძალადობას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

კერძოდ, 2011 წლის 23 სექტემბერს, მე-8 საპყრობილის საკანში, არატრადიციული ორიენტაციის პატიმრებმა სერგო თეთრაძის მიმართ განახორციელეს სექსუალური ძალადობა, რასაც ადგილზე ხელმძღვანელობდა მე-8 საპყრობილის დირექტორი. სერგო თეთრაძე მასზე განხორციელებული წამების შედეგად გახდა ცუდად და გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა გონსმოუსვლელად.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით ასევე დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი გეგმისთვის სამართლებრივი ნიადაგის შესაქმნელად, თავდაცვის მინისტრმა ძველი რიცხვით დანიშნა მისივე ბრძანებით სამსახურიდან გათავისუფლებული გამომძიებლები, რათა მათ ეწარმოებინათ საგამოძიებო მოქმედებები.

გარდა აღნიშნულისა, 2011 წლის სექტემბერში „ჯაშუშობის“ ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობისას, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მიერ, მართლსაწინააღმდეგოდ იქნა მითვისებული 60.000 (სამოცი ათასი) ლარი, ხოლო მოგვიანებით თავდაცვის ყოფილი მინისტრის და მისი მოადგილის დახმარებით ძველი რიცხვით შეიქმნა ყალბი დოკუმენტები, სადაც დაფიქსირდა, რომ თითქოს კონფიდენტებზე, ე.წ „ჯაშუშებზე“ ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების სანაცვლოდ, გაიცა 60.000 (სამოცი ათასი) ლარი. სინამდვილეში დიდი ოდენობით სახელმწიფო თანხა არ გამოყენებულა სამსახურებრივი მიზნებისთვის და იგი მართლსაწინააღმდეგოდ იქნა მითვისებული.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 1441-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით; 25,138-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით; 1441-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „ბ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით; 332-ე მუხლის მე-2 ნაწილით; 341-ე მუხლით და 25, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მას საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 12 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამნისტიის აქტით შეუმცირდა და განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით 3 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

მინისტრის ყოფილი მოადგილე ნ.ძ. მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 182-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 341-ე მუხლით, მას საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 8 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეუმცირდა ამნისტიის აქტით და განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე დამატებითი სასჯელის სახით 1 წლის ვადით ჩამოერთვა სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

აღნიშნულ საქმეზე უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და მსჯავრდებულები არიან სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე მ.ქ., მე- 8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ა.მ., ამავე დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების უფროსი და რეჟიმის განყოფილების უფროსი. თითოეულს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

***

გუშინვე პოლკოვნიკ სერგო თეთრაძის მკვლელობის საქმეზე 9-წლიანი სასჯელის შეფარდებას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ბაჩო ახალაია გამოეხმაურა.

„ერთია, როცა დანაშაულს დაგაბრალებენ, მეორეა, როცა ამ სახით აშკარა შეურაცხყოფას გაყენებენ.

ეს განაჩენი, ეს სასამართლო, მთლიანად ეს ხელისუფლება დაკავებულია ჩემთვის ისეთი შეურაცხყოფის მოყენებით, რომელმაც სამუდამოდ უნდათ გამანადგუროს მორალურად, მაგრამ ამ შეურაცხყოფაზე ჩემი ერთადერთი პასუხი იქნება ის, რომ რამდენი წელიც არ უნდა დასჭირდეს, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემს შვილებს, ჩემს ოჯახს, მთელ ქართულ საზოგადოებას სწორედ ამ მოსამართლეების პირიდან მოვასმენინო სრული სიმართლე. ისინი უნდა წარსდგნენ ხალხის წინაშე და დეტალურად მოყვნენ, ვინ დაავალა ასეთი სიბინძურეების კეთება და რატომ ასრულებენ ასეთ ბინძურ დავალებებს“ – ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

# სომხეთის პრემიერი სერჟ სარგსიანი გადადგა: „პაშინიანი მართალი გამოდგა, მე შევცდი“

ფართომასშტაბიანი ანტისამთავრობო აქციების შემდეგ, გუშინ, 23 აპრილს, სომხეთის პრემიერ-მინისტრი სერჟ სარგსიანი გადადგა.



სომხეთის პარლამენტმა სერჟ სარგსიანი პრემიერ-მინისტრის პოსტზე 17 აპრილს აირჩია. პარლამენტში კენჭისყრა ქუჩის მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა.

სარგსიანი იკავებდა უმაღლეს პოსტებს სომხეთში 2007 წლიდან. 2008 წელს ის აირჩიეს პრეზიდენტად, 2013 წელს ამ პოსტზე ხელმეორედ იქნა არჩეული, რის შემდეგაც სომხეთმა დაიწყო გადასვლა საპარლამენტო მმართველობის ფორმაზე, რომლის ფარგლებშიც ფართოვდება პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება და მცირდება პრეზიდენტის.

სერჟ სარგსიანის გაპრემიერების წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქციებს მოძრაობა „გადადგი ნაბიჯი“, „უარი სერჟს“ და ფრონტი „სომხეთის სახელმწიფოს სახელით“ მარტის ბოლოდან ატარებენ. საპროტესტო აქციაზე გამოვიდა რამდენიმე ათასი ადამიანი, ისინი აპროტესტებდნენ იმას, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები სარგსიანმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა და ხელისუფლებაში ყოფნა კიდევ რამდენიმე წლით გაიხანგრძლივა. დემონსტრანტები მოითხოვდნენ, რომ ხელისუფლებას შეეწყვიტა დემოკრატიის პრინციპების, ადამიანის უფლებების და უმაღლესი კანონის წინააღმდეგ წასვლა.



საპროტესტო გამოსვლების ლიდერმა ნიკოლ პაშინიანმა სომხეთში ხავერდოვანი რევოლუციის დაწყება დააანონსა და სომხეთის მოსახლეობას საყოველთაო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა.



გადადგომის შემდეგ პრემიერმა სარგსიანმა ასეთი მიმართვა გაავრცელა:

„ძვირფასო თანამემამულენო! მივმართავ სომხეთის რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, უფროს თაობასა და ახალგაზრდობას, ქალებსა და მამაკაცებს.

მივმართავ მათ, ვინც დღე და ღამე დგას ქუჩაში და მოუწოდებს – „უარი უთხარი სერჟს“ და მათაც, ვინც ძლივს მიდის სამუშაო ადგილებამდე, რათა საკუთარი ვალი მოიხადოს. მივმართავ მათ, ვინც მთელი დღე პირდაპირ ეთერს ადევნებს თვალს და მათაც, ვინც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

მივმართავ მამაც ჯარისკაცებსა და ოფიცრებს საზღვარზე, მივმართავ ჩემს თანამებრძოლებს. მივმართავ ჩემს თანაპარტიელებს, ყველა პოლიტიკურ ძალას და მოღვაწეს.

ნიკოლ პაშინიანი მართალი იყო. მე შევცდი. შექმნილ სიტუაციას რამდენიმე გამოსავალი აქვს, მაგრამ არც ერთს გავაკეთებ. მე ვტოვებ ქვეყნის მეთაურის პოსტს, სომხეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს. ქუჩის მოძრაობა ჩემი პრემიერობის წინააღმდეგია. მე ვასრულებ თქვენს მოთხოვნას.

მშვიდობა, ჰარმონია და ლოგიკა ჩვენს ქვეყანას. მადლობას გიხდით.“

## ტრამპი: „ჩრდილოეთ კორეის საკითხი ბოლომდე გადაჭრილი არ არის!“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სასტიკად გააკრიტიკა ის მედია– საშუალებები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ აშშ-მ კიმ ჩენ ინთან პაექრობაში პოზიციები დათმო.

– ეს კიმ ჩენ ინმა დათმო და არა ჩვენ, – თქვა ტრამპმა.

ამავე დროს აშშ-ის ლიდერმა აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ბოლომდე ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

– ჩვენ მხოლოდ პირველ შედეგებს მივაღწიეთ. მთავარი ბრძოლები წინაა, – ამბობს ტრამპი.

## დიდმა შვიდეულმა დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალებს მხარი დაუჭირა

ტორონტოში დიდი შვიდეულის სამიტი დაიწყო. მან დონბასში გაეროს სამშვიდობო ძალების განთავსებას მხარი დაუჭირა. ამ სამშვიდობო კონტინგენტში ვერ მოხვდება რუსეთი, რადგანაც ის კონფლიქტის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს.

სამიტმა უკრაინის წინადადებას მთლიანად დაუჭირა მხარი. ჯერ მძიმე ტექნიკა უნდა იქნას გაყვანილი, ამის შემდეგ საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსება უნდა დაიწყოს. როცა მოხდება დონბასის განაღმვა და დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორება, არჩევნებიც მხოლოდ ამის შემდეგ გაიმართება.

## სკრიპალები გორდონმა მოწამლა?

ბრიტანეთის პრესაში გაჩნდა ახალი მასალები გრუ-ს ყოფილ ოფიცრის, სერგეი სკრიპალისა და მისი ქალიშვილის, იულიას, მოწამვლის გამო.

ჟურნალისტები პოლიციის მასალებზე დაყრდნობით ამტკიცებენ, რომ მამა-შვილი სკრიპალები ფსბ-ს ოფიცერმა, მეტსახელად გორდონმა, მოწამლა. მკვლელის ნამდვილი გვარი არ სახელდება, ნათქვამია მხოლოდ ის, რომ გორდონი რამდენჯერმე სავიცკის გვარს იყენებდა.

ბრიტანელი ჟურნალისტების მტკიცებით, გორდონი განათლებული, ამბიციური და ძალიან ულმობელი კაცია. მის სინდისზე რამდენიმე მკვლელობაა.

– სკრიპალების მოწამვლის შემდეგ გორდონი რუსეთში გაიქცა. ბრიტანულ მართლმსაჯულებას არ აქვს საშუალება, რომ ის დააკავოს და დაკითხოს, – წერენ ინგლისური გაზეთები.

## სისხლისღვრა ნიკარაგუაში

ნიკარაგუელები ქუჩაში გამოვიდნენ. ისინი მთავრობის სოციალურ პოლიტიკას აპროტესტებენ. ხელისუფლებამ მათ წინააღმდეგ პოლიცია გამოიყვანა. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა. საპროტესტო აქციები როგორც დედაქალაქ მანაგუას, აგრეთვე მთელ ქვეყანას მოედო.

ხელისუფლებამ მანიფესტანტების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები და ცრემლმდენი გაზი გამოიყენა. პასუხად დემონსტრანტებმა პოლიციას ქვები და ჯოხები დაუშინეს, პოლიციამ კი ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა.



შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა. მოკლეს ჟურნალისტი, რომელიც აქციას პირდაპირ ეთერში აშუქებდა. მისი დაღუპვის სცენა ტელეკამერებმა აღბეჭდეს.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ნიკარაგუაში ძალადობის ფაქტები დაგმო და დაპირისპირებულ მხარეებს მშვიდობიანი დიალოგისკენ მოუწოდა. ანალოგიური მოწოდება რომის პაპმაც გააკეთა.

მიუხედავად ამისა, აქციები არ წყდება. ცეცხლსასროლ იარაღს უკვე როგორც ხელისუფლება, ასევე დემონსტრანტებიც იყენებენ. მანაგუას ქუჩები ნამდვილ ბრძოლის ველად იქცა.

## ასადმა ფრანგებს საპატიო ლეგიონის ორდენი დაუბრუნა

სირიის დიქტატორმა ბაშარ ასადმა საფრანგეთს საპატიო ლეგიონის ორდენი დაუბრუნა. ეს ჯილდო მას 2011 წელს საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა გადასცა.

ასადმა განაცხადა, რომ დღეს საფრანგეთი ამერიკის კოლონიად გადაიქცა და მისი ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესია განახორციელა.

– გამომდინარე აქედან, საპატიო ლეგიონის ორდენს ვაბრუნებ, – ამბობს ასადი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

### შეიძინეთ წიგნებს!

ბუკინისტური მაღაზია „არსი“ შეიძენს 1950 წლამდე გამოცემულ წიგნებს, სპეციალისტების ადგილზე მისვლითაც. მისამართი: თბილისი, რუსთაველის გამზირი №16. წიგნების ფოტოები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ელ.ფოსტით: booking.shop@mail.ru ან დაგვირეკეთ ტელ: 557-64-67-60.

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების თავიდან აცილება, ნერვული სისტემის და ღვიძლის პრობლემების ნორმალიზება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით, ტელ: 599-25-44-14 ექიმი მზია, 218-48-99 (სამსახ.). მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● პოტენციის დაქვეითებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციების ნორმალიზება, პროსტატის ჯირკვლისა და შარდვის პროცესების მოწესრიგება, ბაქტერიულ-სოკოვან ინფექციათა საწინააღმდეგო მოქმედება იმუნიტეტის გაძლიერებით, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან უჯრედულ დონეზე. უკუჩვენების გარეშე. საუკეთესო შედეგით. ტელ: 595-293-299; 218-46-08 (სამსახ.) ექიმი ინგა. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-5 სმ-ის მომატებით ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით+ვარჯიშები. ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე გახდომა 5-15 კგ თვეში რაციონის შეუცვლელად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, სწრაფად და ეფექტურად. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● ძვლის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება – კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ართრიტის დროს. დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის ნორმალიზება მცენარეული საშუალებებით, საუკეთესო შედეგით. ტკივილისა და შებოჭილობის სინდრომის შემცირება უკუჩვენების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (სამსახ). ექიმი სალომე. მის: დავით აღმაშენებლის 154 „მწვანე ოფისი“.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

# საბურთალო არავის ინდობს

**საბურთალო-ტორპედო 2:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ხურცილავა (30სკ), 2:0 გვარაძე (56)

**საბურთალო:** კუპატაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, რეხვიაშვილი, ნადარაია, ელვინ ტერა, მამუჩაშვილი, გორგიაშვილი, ვაგნერი (თარხნიშვილი 79), გვარაძე (ვოლკოვი 70), კოხრეიძე (გოშთელიანი 89).

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე (წიქარიძე 77), ხურცილავა, მამასახლისი, კუხიანიძე, გურული, კუტალია, ქიმაძე, ბოხაშვილი (კუჭუხიძე 60), გრიგალაშვილი, გიგაური (ლიპარტია 60)

ჩემპიონატის ლიდერმა გასული სეზონის ჩემპიონს, ქუთაისის ტორპედოს უმასპინძლა და მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა. ამ გამარჯვებით საბურთალოელებმა შვიდი თამაშიდან 18 ქულა დააგროვეს და კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობენ ეროვნული ლიგის გათამაშებას.



რაც შეეხება მატჩს, საერთო ჯამში, თბილისელების უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ შეხვედრაც ლოგიკურად დასრულდა. წინა მატჩისგან განსხვავებით, რამდენიმე ცვლილება იყო ძირითად შემადგენლობაში – თერთმეტეულში დაიწყო თამაში ბექა გვარაძემ, რომელმაც შორი მანძილიდან ულამაზესი გოლი გაიტანა და თავისიანების გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. ასევე, ძირითად შემადგენლობაში ითამაშა ელვინ ტერამ, რომელსაც კარგა ხანს ტრავმა აწუხებდა.

პირველი ხელსაყრელი ეპიზოდი მასპინძლებმა 36-ე წუთზე შექმნეს, როდესაც გიორგი კოხრეიძემ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე მეტოქის საჯარიმოში რამდენიმე კაცი მოატყუა, კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარე როინ კვასხვაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. ამ სტანდარტულს კი გოლი მოჰყვა – ვაგნერის ჩაწოდების შემდეგ ტორპედოელმა დავით ხურცილავამ თავით საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი. გუნდები შესვენებაზე ასე გავიდნენ.

მეორე ტაიმში საბურთალოს უპირატესობა გამოიკვეთა, ეს ყოველივე კი შედეგში მალე აისახა – როგორც ზემოთ გითხარით, ბექა გვარაძემ 20-22 მეტრიდან ძლიერი დარტყმით ცხრიანში გაჭედა ბურთი – 2:0.

ამის მერეც საბურთალო მეტოქის კარს რამდენჯერმე დაემუქრა: მესამე გოლის გატანასთან ახლოს დავით ვოლკოვი იყო, როდესაც მარჯვენა ფლანგიდან ურტყამდა, მაგრამ კვასხვაძემ დამაჯერებლად ითამაშა.

საბოლოოდ, გიორგი ჭიაბრიშვილის გუნდმა მორიგი 3 ქულა მოიპოვა.

**ჩიხურა-სამტრედია 0:0**

**ივანწმინდა. ცენტრალური სტადიონი**

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მაისაშვილი, მირცხულავა, მეგრელიშვილი, ბუღრიძე (ჩიხლაძე 86), კაკუბავა, ჩიკვაიძე, ლექვთაძე (ბუხაიძე 63), გაბედავა, მარკოზაშვილი (იონანიძე 81)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, ჩაჩუა, ქარქუზაშვილი, კერძევაძე, ბაჩიაშვილი, დაუშვილი, სანია, კირკიტაძე, ერისთავი (ოლხოვი 62, ფატიჩი 85), ახალაძე (გიი 41), გიორბელიძე

ბადრი კვარაცხელიას მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ, სამტრედიამ 2 შეხვედრა ჩაატარა და ორივე ფრედ, 0:0 დაასრულა. აშკარაა, იმერულმა გუნდმა დაცვაში თამაში გამოასწორა, მაგრამ შეტევა კვლავაც ვერ უძლებს კრიტიკას – ბოლო 6 ტურში, იმერლებმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანეს და ისიც პენალტით. გამომდინარე იქიდან, რომ მაიკლ ოლაიტანი ზაფხულამდე ვერ ითამაშებს, კლუბის ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს თავდამსხმელის მოსაყვანად.

ჩიხურა კი აგრძელებს ქულების სტაბილურად დაგროვებას. სოსო ფრუიძე კვლავ ამტკიცებს, რომ ეროვნული ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია და, ფაქტობრივად, ნებისმიერი შემადგენლობით შეუძლია ევროპის ლიგის საგზურისთვის მებრძოლი კლუბის „შეკვრა“. მომდევნო ტურში, ივანწმინდაში საბურთალო ჩავა, სადაც უკეთესად გამოჩნდება, რეალურად რა შეუძლია ამ ფორმაციის ჩიხურას.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 7 | 6 | 0 | 1 | 15-4 | 18 |
| 2.დინამო | 7 | 5 | 0 | 2 | 14-7 | 15 |
| 3.ჩიხურა | 7 | 3 | 3 | 1 | 11-5 | 12 |
| 4.დილა | 7 | 3 | 3 | 1 | 12-9 | 12 |
| 5.რუსთავი | 7 | 3 | 1 | 3 | 8-7 | 10 |
| 6.ტორპედო | 7 | 3 | 0 | 4 | 8-8 | 9 |
| 7.სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 8.კოლხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-16 | 7 |
| 9.სამტრედია | 7 | 1 | 2 | 4 | 3-8 | 5 |
| 10.ლოკომოტივი | 7 | 1 | 1 | 5 | 7-17 | 4 |

# ქუთაისმა ლიდერობა დაიბრუნა

**ქუთაისი-მგზავრები 112:72**

**(28:15, 34:22, 30:15, 20:20)**



იმერეთში სათამაშოდ მგზავრები ჩავიდა და ბრძოლა არ შედგა. ჩემპიონატის ლიდერმა ქუთაისმა საკმაოდ იოლად – 112:72 დაამარცხა მეტოქე და ცხრილში პირველი ადგილი დაიბრუნა.

მატჩის ბედი მალევე გადაწყდა. მასპინძლებმა დიდი უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს. პირველი მეოთხედი 28:15 მოიგეს, ტაიმის ბოლოს კი, უკვე 25 ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდნენ – 62:37.

დიდი შესვენების შემდეგ, ჩამორჩენა უფრო და უფრო იზრდებოდა. გადამწყვეტი ათწუთეულის წინ, სხვაობა უკვე 40 ქულამდე ავიდა – 92:52. მეოთხე მეოთხედში კოტე ტუღუშმა გადაახალისა ხუთეული და შეხვედრის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა.

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე იმერულ კლუბს 2 საშინაო მატჩი დარჩა – 25 აპრილს ოლიმპთან და 30 აპრილს – მარნეულთან, რომელთა მოგების შემთხვევაშიც პირველ ადგილზე გავა. ეს კი ქუთაისელებს პლეი ოფის ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობას გაუნაღდებს.

მგზავრებმა ქუთაისში წაგებით ცხრილში საკუთარი ადგილი გამოიწერა. რაც არ უნდა მოხდეს, ბუბა ბერიშვილის გუნდი რეგულარულ ჩემპიონატს მე-7 ადგილზე დაასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მეოთხედფინალურ სერიაში მეორე ადგილზე გასულ გუნდს შეხვდება. მეორე ადგილზე ვინ გავა, ეს დარჩენილ 2 ტურში გამოჩნდება: ჯერ უცნობია, როგორ გადანაწილდება პირველი 4 ადგილი ქუთაისს, კაკტუსს, დინამოსა და რუსთავს შორის.

ჰო, ამ მატჩში მასპინძლებს დეჟუან რაითმა 23 ქულით ულიდერა. 19 ქულა და 12 მოხსნა რიჩარდ მათიაშვილის ანგარიშზეა. სტუმართაგან 28 ქულა ავთანდილ ლომინაშვილმა მოიპოვა.

**ბათუმი-დელტა 86:84**

**(20:22, 21:27, 20:20, 25:15)**

მაყურებელმა ძალიან დაძაბული და სანახაობრივი შეხვედრა იხილა. თავიდან მასპინძლებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ მისი შენარჩუნება ვერ შეძლეს. სტუმრებმა 9-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრეს და წინაც გავიდნენ. მეოთხედი სწორედ მათი გამარჯვებით (22:20) დასრულდა. მეორე ათწუთეული დელტა ლიდერობდა, თუმცა, ბათუმი მეტოქეს შორს არ უშვებდა. ტაიმი სტუმრებმა მოიგეს – 49:41.

დიდი შესვენების შემდეგ დელტამ უკვე სოლიდური უპირატესობა მოიპოვა. წინ 15 ქულით გავიდნენ და თითქოს, ბათუმი უშანსოდ იყო, მაგრამ თავად ასე არ ფიქრობდნენ. მესამე მეოთხედი ფრედ დასრულდა (20:20), მეოთხეში კი მასპინძლებმა სხვაობა შეამცირეს და ლიდერობა დაიბრუნეს. მატჩის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე, ვლადიმირ ბოსნიაკის შეგირდები 85:84-ს იგებდნენ. სპენსერ კოლინსის გაფუჭებული საჯარიმოს შემდეგ, სტუმართა დაცვა ჩავარდა. მასპინძლებმა მეტოქის ფარზე ზედიზედ 4-ჯერ მოხსნეს ბურთი, რის შემდეგაც, მარნეულის წარმომადგენლებს მხოლოდ ერთი სროლის შესაძლებლობა მიეცათ. დეონდრე რეიმ სამიანი ვერ გამოიყენა და თამაშიც მასპინძელთა გამარჯვებით დასრულდა – 86:84.

ბათუმი მე-5 ადგილზე გამაგრდა. ამ ადგილს ზღვისპირელებს ოლიმპი ეცილება, რომელსაც ერთი ქულით ნაკლები აქვს. რაც შეეხება დელტას, გადაწყვეტილია, რომ ეს გუნდი რეგულარულს მე-8 ადგილზე დაასრულებს და პლეი ოფის პირველ რაუნდში პირველადგილოსანს დაუპირისპირდება.

ბათუმელთა რიგებში 23 ქულითა და 8 მოხსნით ლეონიდ სტეფანიშინი გამოირჩა. 21 ქულა სპენსერ კოლინსის ანგარიშზეა. სტუმართაგან კი 23 ქულა დეონდრე რეიმ ჩააგდო. 15 ჰქონდა ნიკოლას ნილს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ქუთაისი | 30 | 21 | 9 | 2563:2277 | 51 |
| 2.კაკტუსი | 30 | 20 | 10 | 2497:2423 | 50 |
| 3.დინამო | 30 | 19 | 11 | 2488:2295 | 49 |
| 4.რუსთავი | 30 | 19 | 11 | 2475:2339 | 49 |
| 5.ბათუმი | 31 | 17 | 14 | 2394:2260 | 48 |
| 6.ოლიმპი | 30 | 16 | 14 | 2333:2255 | 46 |
| 7.მგზავრები | 30 | 13 | 17 | 2357:2501 | 43 |
| 8.დელტა | 30 | 10 | 20 | 2443:2552 | 40 |
| 9.სოხუმი | 31 | 1 | 30 | 2275:2923 | 32 |

# ვიტალი დარასელიას ტურნირზე გუნდები დაჯგუფდნენ




დინამოს აკადემია, 24 აპრილიდან 29 აპრილის ჩათვლით, საერთაშორისო ტურნირს – ვიტალი დარასელიას თასის გათამაშებას უმასპინძლებს.

დინამოს საფეხბურთო აკადემია 15 წლამდე ასაკის გუნდებს შორის საერთაშორისო ტურნირს მესამედ უმასპინძლებს. თასი შარშან, ფინალურ შეხვედრაში ჰოლანდიურ ალკმაარსა და დინამო კიევს შორის გათამაშდა და ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა.

ტურნირში მონაწილეობას 8 კლუბი მიიღებს: იტალიური ჯენოა, ესპანური ესპანიოლი, ჰოლანდიური ვიტესი, მოსკოვის სპარტაკი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აკადემიის გუნდი, მინსკის, კიევისა და თბილისის დინამოები.

როგორც ტურნირის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ტურნირში მონაწილეობის მსურველნი ბევრნი იყვნენ (მათ შორის ტურინის იუვენტუსი და მადრიდის რეალი), მაგრამ ბავშვთა აკადემიებში სასწავლო პროცესის გამო მათი ჩამოყვანა ვერ მოხერხდა.

**რვა გუნდი ორ ჯგუფად გაიყო:** წილისყრა ბრმად ჩატარდა, მხოლოდ ქართული გუნდები მოხვდნენ სხვადასხვა ჯგუფებში.

**ა ჯგუფი:** დინამო (თბ), ჯენოა, ვიტესი, დინამო (მნ);

**ბ ჯგუფი:** სფფ აკადემია, დინამო (კ), სპარტაკი, ესპანიოლი;

მატჩები დინამოს აკადემიაში გაიმართება, ხოლო ფინალი – დინამო არენაზე. ყველა შეხვედრის ტაიმები 35-წუთიანი იქნება, ფინალების კი, 40 წუთს გაგრძელდება.

ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართება დაჯილდოების ცერემონია. პრიზები გადაეცემათ საუკეთესო ბომბარდირს, მეკარეს, მცველს, საუკეთესო გოლის ავტორსა და ტურნირის აღმოჩენას.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# შედეგები

## 22 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. თასი**

ჩელსი-საუთჰემპტონი .................. 2:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

არსენალი-ვესტ ჰემი .................. 4:1

სტოკი-ბარნლი .................. 1:1

სიტი-სუონსი .................. 5:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 34 | 29 | 3 | 2 | 98-25 | 90 |
| 2.მანჩესტერი | 34 | 23 | 5 | 6 | 65-26 | 74 |
| 3.ლივერპული | 35 | 20 | 11 | 4 | 80-37 | 71 |
| 4.ტოტენჰემი | 34 | 20 | 8 | 6 | 66-31 | 68 |
| 5.ჩელსი | 34 | 19 | 6 | 9 | 59-34 | 63 |
| 6.არსენალი | 34 | 17 | 6 | 11 | 66-46 | 57 |
| 7.ბარნლი | 35 | 14 | 11 | 10 | 35-32 | 53 |
| 8.ლესტერი | 34 | 11 | 11 | 12 | 49-47 | 44 |
| 9.ევერტონი | 34 | 11 | 9 | 14 | 39-54 | 42 |
| 10.ნიუკასლი | 33 | 11 | 8 | 14 | 35-42 | 41 |
| 11.ბორნმუთი | 35 | 9 | 11 | 15 | 41-58 | 38 |
| 12.უოტფორდი | 35 | 10 | 8 | 17 | 42-60 | 38 |
| 13.ბრაიტონი | 34 | 8 | 12 | 14 | 32-47 | 36 |
| 14.კრ.პალასი | 35 | 8 | 11 | 16 | 36-54 | 35 |
| 15.ვესტ ჰემი | 34 | 8 | 11 | 15 | 42-63 | 35 |
| 16.ჰადერსფილდი | 34 | 9 | 8 | 17 | 27-54 | 35 |
| 17.სუონსი | 34 | 8 | 9 | 17 | 27-51 | 33 |
| 18.საუთჰემპტონი | 34 | 5 | 14 | 15 | 33-53 | 29 |
| 19.სტოკი | 35 | 6 | 11 | 18 | 32-65 | 29 |
| 20.ვესტ ბრომვიჩი | 35 | 4 | 13 | 18 | 29-54 | 25 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხირონა-ესპანიოლი .................. 0:2

მალაგა-სოსიედადი .................. 2:0

ლას პალმასი-ალავესი .................. 0:4

ატლეტიკო-ბეტისი .................. 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 25 | 8 | 0 | 83-19 | 83 |
| 2.ატლეტიკო | 34 | 21 | 9 | 4 | 54-18 | 72 |
| 3.რეალი | 33 | 20 | 8 | 5 | 80-36 | 68 |
| 4.ვალენსია | 34 | 20 | 6 | 8 | 62-36 | 66 |
| 5.ბეტისი | 34 | 17 | 5 | 12 | 54-53 | 56 |
| 6.ვილიარეალი | 33 | 15 | 6 | 12 | 45-40 | 51 |
| 7.სევილია | 33 | 14 | 6 | 13 | 41-52 | 48 |
| 8.ხეტაფე | 34 | 13 | 9 | 12 | 39-31 | 48 |
| 9.ხირონა | 34 | 13 | 8 | 13 | 46-52 | 47 |
| 10.სელტა | 34 | 12 | 9 | 13 | 53-47 | 45 |
| 11.სოსიედადი | 34 | 12 | 7 | 15 | 60-54 | 43 |
| 12.ეიბარი | 34 | 12 | 7 | 15 | 37-47 | 43 |
| 13.ალავესი | 34 | 13 | 2 | 19 | 34-47 | 41 |
| 14.ბილბაო | 33 | 9 | 13 | 11 | 36-39 | 40 |
| 15.ლეგანესი | 34 | 11 | 7 | 16 | 28-41 | 40 |
| 16.ესპანიოლი | 34 | 9 | 12 | 13 | 28-40 | 39 |
| 17.ლევანტე | 33 | 7 | 13 | 13 | 29-48 | 34 |
| 18.დეპორტივო | 34 | 6 | 10 | 18 | 32-65 | 28 |
| 19.ლას პალმასი | 34 | 5 | 6 | 23 | 22-69 | 21 |
| 20.მალაგა | 34 | 5 | 5 | 24 | 22-51 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ოსასუნა .................. 0:0

ბარსელონა ბ-რაიო .................. 2:3

კადისი-ხიხონი .................. 0:0

ლუგო-ლორკა .................. 1:1

გრანადა-ლეონესა .................. 3:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-მაინცი .................. 2:0

კიოლნი-შალკე .................. 2:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 25 | 3 | 3 | 84-22 | 78 |
| 2.შალკე | 31 | 16 | 8 | 7 | 49-35 | 56 |
| 3.დორტმუნდი | 31 | 15 | 9 | 7 | 61-41 | 54 |
| 4.ლევერკუზენი | 31 | 14 | 9 | 8 | 55-41 | 51 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 31 | 13 | 10 | 8 | 60-44 | 49 |
| 6.ლაიპციგი | 31 | 13 | 8 | 10 | 47-47 | 47 |
| 7.აინტრახტი | 31 | 13 | 7 | 11 | 41-40 | 46 |
| 8.გლადბახი | 31 | 12 | 7 | 12 | 42-48 | 43 |
| 9.ჰერტა | 31 | 10 | 12 | 9 | 38-35 | 42 |
| 10.შტუტგარტი | 31 | 12 | 6 | 13 | 29-35 | 42 |
| 11.აუგსბურგი | 31 | 10 | 10 | 11 | 40-40 | 40 |
| 12.ვერდერი | 31 | 9 | 10 | 12 | 34-38 | 37 |
| 13.ჰანოვერი | 31 | 9 | 9 | 13 | 38-47 | 36 |
| 14.ვოლფსბურგი | 31 | 5 | 15 | 11 | 30-40 | 30 |
| 15.მაინცი | 31 | 7 | 9 | 15 | 32-49 | 30 |
| 16.ფრაიბურგი | 31 | 6 | 12 | 13 | 26-51 | 30 |
| 17.ჰამბურგი | 31 | 6 | 7 | 18 | 24-48 | 25 |
| 18.კიოლნი | 31 | 5 | 7 | 19 | 31-60 | 22 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კაიზერი-დინამო .................. 0:1

ფორტუნა-ინგოლშტადი .................. 3:0

აუე-დუისბურგი .................. 1:3

**იტალია. სერია ა**

კალიარი-ბოლონია .................. 0:0

უდინეზე-კროტონე .................. 1:2

კიევო-ინტერი .................. 1:2

ლაციო-სამპდორია .................. 4:0

ატალანტა-ტორინო .................. 2:1

იუვენტუსი-ნაპოლი .................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 27 | 4 | 3 | 78-20 | 85 |
| 2.ნაპოლი | 34 | 26 | 6 | 2 | 71-23 | 84 |
| 3.რომა | 34 | 20 | 7 | 7 | 55-27 | 67 |
| 4.ლაციო | 34 | 20 | 7 | 7 | 83-43 | 67 |
| 5.ინტერი | 34 | 18 | 12 | 4 | 56-23 | 66 |
| 6.ატალანტა | 34 | 15 | 10 | 9 | 52-35 | 55 |
| 7.მილანი | 34 | 15 | 9 | 10 | 44-38 | 54 |
| 8.სამპდორია | 34 | 15 | 6 | 13 | 51-53 | 51 |
| 9.ფიორენტინა | 34 | 14 | 9 | 11 | 47-38 | 51 |
| 10.ტორინო | 34 | 11 | 14 | 9 | 48-41 | 47 |
| 11.ბოლონია | 34 | 11 | 6 | 17 | 37-44 | 39 |
| 12.ჯენოა | 33 | 10 | 8 | 15 | 26-33 | 38 |
| 13.სასუოლო | 34 | 9 | 10 | 15 | 25-53 | 37 |
| 14.კალიარი | 34 | 9 | 6 | 19 | 30-56 | 33 |
| 15.უდინეზე | 34 | 10 | 3 | 21 | 43-56 | 33 |
| 16.კიევო | 34 | 7 | 10 | 17 | 30-53 | 31 |
| 17.კროტონე | 34 | 8 | 7 | 19 | 32-59 | 31 |
| 18.სპალი | 34 | 5 | 14 | 15 | 30-55 | 29 |
| 19.ვერონა | 33 | 7 | 4 | 22 | 26-65 | 25 |
| 20.ბენევენტო | 34 | 5 | 2 | 27 | 29-78 | 17 |

**იტალია. სერია ბ**

პერუჯა-ტერნანა .................. 2:3

პესკარა-სპეცია .................. 3:2

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-მონპელიე .................. 1:0

სტ.ეტიენი-ტრუა .................. 2:1

ბორდო-პსჟ .................. 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 34 | 29 | 3 | 2 | 104-23 | 90 |
| 2.მონაკო | 34 | 21 | 7 | 6 | 79-44 | 70 |
| 3.ლიონი | 34 | 20 | 9 | 5 | 77-38 | 69 |
| 4.მარსელი | 34 | 20 | 9 | 5 | 72-41 | 69 |
| 5.ნიცა | 34 | 14 | 8 | 12 | 45-45 | 50 |
| 6.სტ.ეტიენი | 34 | 13 | 10 | 11 | 40-46 | 49 |
| 7.რენი | 34 | 13 | 9 | 12 | 43-41 | 48 |
| 8.მონპელიე | 34 | 10 | 16 | 8 | 32-30 | 46 |
| 9.ნანტი | 34 | 12 | 10 | 12 | 33-37 | 46 |
| 10.გენგამი | 34 | 12 | 9 | 13 | 41-49 | 45 |
| 11.ბორდო | 34 | 12 | 7 | 15 | 39-44 | 43 |
| 12.დიჟონი | 34 | 11 | 9 | 14 | 48-66 | 42 |
| 13.ამიენი | 34 | 11 | 7 | 16 | 32-38 | 40 |
| 14.ანჟე | 34 | 8 | 13 | 13 | 38-46 | 37 |
| 15.კაენი | 33 | 10 | 6 | 17 | 24-43 | 36 |
| 16.სტრასბური | 34 | 8 | 10 | 16 | 39-61 | 34 |
| 17.ტულუზა | 33 | 8 | 9 | 16 | 31-44 | 33 |
| 18.ტრუა | 34 | 8 | 5 | 21 | 28-51 | 29 |
| 19.ლილი | 34 | 7 | 8 | 19 | 33-58 | 29 |
| 20.მეცი | 34 | 6 | 8 | 20 | 32-65 | 26 |

**ჰოლანდია. თასი**

**ფინალი**

ალკმაარი-ფეინოორდი .................. 0:3

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-ავიში .................. 3:0

შავიში-პორტიმორენსე .................. 2:1

მორეირენშე-რიუ ავე .................. 2:1

სპორტინგი-ბოავიშტა .................. 1:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ხაბაროვსკი-დინამო .................. 0:1

არსენალი-ზენიტი .................. 3:3

ტოსნო-ამკარი .................. 0:2

ცსკა-კრასნოდარი .................. 2:1

ლოკომოტივი-უფა .................. 0:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ლუცერნი-ციურიხი .................. 2:1

სიონი-ბაზელი .................. 2:2

იანგ ბოიზი-ლოზანა .................. 4:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

რეინჯერსი-ჰართსი .................. 2:1

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ზალცბურგი-ალტახი .................. 3:1

რაპიდი-ადმირა .................. 4:1

**ბელგია. ა დივიზიონი**

ბრიუგე-სტანდარდი .................. 4:4

შარლეტუა-გენტი .................. 2:1

ოსტენდე-ბეერსხოტი .................. 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

აეკი-ლევადიაკოსი .................. 2:0

აპოლონი-ოლიმპიაკოსი .................. 1:0

ატრომიტოსი-პლატანიასი .................. 4:1

კერკირა-ასტერასი .................. 1:3

პანეთოლიკოსი-ლამია .................. 1:0

პანიონიოსი-პანათინაიკოსი .................. 0:3

პაოკი-ქსანთი .................. 2:1

იანინა-ლარისა .................. 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-გიოზთეფე .................. 1:1

ქონია-ქაშიმფაშა .................. 2:0

ბეშიქთაში-მალათია .................. 3:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

კარვინა-ტეპლიცე .................. 1:1

ლიბერეცი-სლავია .................. 0:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ვისლა-ლეგია .................. 0:1

სანდეცია-არკა .................. 3:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ზორია-მარიუპოლი .................. 3:1

ვერესი-დინამო .................. 1:4

ოლიმპიკი-კარპატი .................. 0:2

**დანია. სუპერლიგა**

ოლბორგი-მიდტიულანდი .................. 3:3

ნორდსიელანდი-ბრონდბიუ .................. 3:4

ჰელსინგერი-სილკებორგი .................. 0:0

ოდენსე-ლუნგბიუ .................. 3:0

რანდერსი-სონდერიისკე .................. 3:0

**რანდერსის სამივე გოლი საბა ლობჟანიძემ გაიტანა**

**შვედეთი. ალსვენსკა**

დალკურდი-სუნდსვალდი .................. 2:2

ჰაკენი-ჰამარბი .................. 2:2

აიკი-გიოტებორგი .................. 2:0

ტრელებორგი-კალმარი .................. 0:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

კრისტიანსუნდი-ბოდო გლიმტი .................. 1:1

ლილესტრიომი-რანჰეიმი .................. 0:1

რუსენბორგი-სტარტი .................. 2:0

ტრომსო-სანდერფიორდი .................. 4:1

ჰაუგესუნდი-სტრომგოდსეტი .................. 1:0

ვალერენგა-მიოლდე .................. 0:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-ვაასა .................. 2:2

როვანიემი-კემი .................. 3:0

# საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრები ერთი დივიზიონით დაწინაურდა



საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთი დონით მაღლა იასპარეზებს. სამხრეთ აფრიკაში გამართულ მე-3 დივიზიონის ტურნირში ექვსი გუნდი მონაწილეობდა. მე-2 დივიზიონის საგზურს მხოლოდ გამარჯვებული იღებდა და ეს გამარჯვებული საქართველოს ნაკრები აღმოჩნდა.

ბოლო ტურში როლანდ სვანიძის გაწვრთნილმა გუნდმა დიდი ანგარიშით – 11:2 დაამარცხა ჩინეთის ტაიპეი და სხვა გუნდებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

ანგარიში მე-17 წამზე ალექსანდრე ჟუჟუნაშვილმა გახსნა, მალევე კი, არტიომ კურბატოვმა ორამდე გაზარდა ანგარიში. ამას მოჰყვა ცუდი მომენტი: მატჩის ბოლომდე გააგდეს გუნდის კაპიტანი ვიტალი დუმბაძე და 5 წუთი უმცირესობაში დავრჩით. ამ დროს მივიღეთ ერთი გოლი, მაგრამ უმცირესობაშივე სემიონ ხარიზოვმა აღადგინა სტატუს-კვო. პირველ პერიოდში ივან შვეცოვმა და ალექსანდრე ვასილჩენკომაც გაიტანეს – 5:1.

მეორე პერიოდში მხოლოდ 3 გოლი გავიდა: მიხაილ შალუნოვმა, ჟუჟუნაშვილმა და ხარიზოვმა 33 წამში სამჯერ გაიტანეს. მესამე პერიოდში, მატჩის ბოლოს, ხარიზოვისა და ჟუჟუნაშვილის (2) გოლებს ტაიპეიმაც უპასუხა – 11:2.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებმა მანამდე თურქეთს (6:2), ბულგარეთს (5:3), ჰონგ კონგს (11:1) მოუგო და მხოლოდ სამხრეთ აფრიკასთან (2:4) დათმო.

მე-2 დივიზიონში აღზევებისთვის საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ:

**მეკარეები:** კახა ამბროლავა, ანდრეი ილიენკო;

**მცველები:** მიხეილ დავითაშვილი, ამირან გეფერიძე, გიორგი ჯეირანაშვილი, არტიომ კურბატოვი, დავით მინასიანი, რევაზ ცომაია;

**ფორვარდები:** ვიტალი დუმბაძე, გრიგორი ფილიმონოვი, ზაზა ღონღაძე, პაატა კავკასიძე, სემიონ ხარიზოვი, არტიომ კოზიულინი, ოლივერ ობოლგოგიანი, დავით ოგანეზიანი, გია ოგანეზიანი, მიხაილ შალუნოვი, ივან შვეცოვი, დმიტრი სმეტანინი, ალექსანდრე ვასილჩენკო, თემურ ვედიაპინი, ალექსანდრე ჟუჟუნაშვილი.

# მოჰამედ სალაჰი პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელია

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ, პრემიერლიგის წლის საუკეთესო ფეხბურთელთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება გაახმაურა და ჯილდო მოჰამედ სალაჰს არგუნა.

**მოჰამედ სალაჰი:**

– ეს უდიდესი პატივია ჩემთვის. თავს ბედნიერად ვგრძნობ. სეზონის განმავლობაში თავდაუზოგავად ვიშრომე და ამ პრესტიჟული ჯილდოს მიღება ძალიან მახარებს.

ლივერპულის შემტევმა საპატიო პრიზი მის ამჟამინდელ კლუბში პირველივე სეზონში ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგის გამო დაიმსახურა. ეგვიპტელი ვინგერის ანგარიშზე პრემიერლიგაში ჩატარებულ 33 მატჩში გატანილი 31 გოლია. ამ მაჩვენებლით ის ბომბარდირთა დავას ერთპიროვნულად ლიდერობს. სალაჰის ანგარიშზე 10 საგოლე პასიცაა.

25 წლის ფეხბურთელი მთავარი ფიგურაა იურგენ კლოპის გუნდის წარმატებულ ასპარეზობაში. მოგეხსენებათ, მერსისაიდელები პრემიერლიგის ოთხეულში დამაჯერებლად იკავებენ ადგილს და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალშიც არიან გასულნი. ამ უკანასკნელ ტურნირზე, 2017 წლის ზაფხულში, რომადან 37 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეძენილმა სალაჰმა 8 გოლის გატანა და 3 საგოლე პასის დაგროვება მოახერხა.

მოჰამედის მთავარ კონკურენტად, აღნიშნული ჯილდოს მოსაპოვებლად, მანჩესტერ სიტის ერთ-ერთი ლიდერი – კევინ დე ბრუინი მიიჩნეოდა. ბელგიელი ნახევარმცველი ამ სეზონში, ინგლისის უმაღლეს საფეხბურთო პირველობაზე, 8 გოლითა და ყველაზე მეტი – 15 საგოლე პასით გამოირჩა და მისი გუნდის მიერ ჩემპიონობის ნაადრევად გაფორმების საქმეში ერთ-ერთი მთავარი როლიც ითამაშა.

ჯილდოს მოგების კანდიდატებად ასევე ჰარი კეინი, დავიდ სილვა, დავიდ დე ხეა და ლეროი ზანე მოიაზრებოდნენ.

# ნინო ხურციძე სიმსივნემ დაამარცხა



ქართულმა ჭადრაკმა გამორჩეული და ღირსეული წევრი ნინო ხურციძე დაკარგა. ხურციძე ერთი წელი სიმსივნეს ებრძოდა, დაავადების დამარცხება ვერ შეძლო და 42 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ნინო ხურციძე: მსოფლიოს ჩემპიონი 16 და 20 წლის გოგონათა შორის. 5 საჭადრაკო ოლიმპიადის, 3 მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის, 7 ევროპის ჩემპიონატის მონაწილე. მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის სამივე სინჯის მედლის მფლობელი საკუთარ დაფაზე. საქართველოს 6-გზის ჩემპიონი, მათ შორის მამაკაცთა შორის. საქართველოს თასის მფლობელი.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ბრიტანელი დედა შვილის სილამაზის კონკურსებზე ათასობით ფუნტს ხარჯავს



ბრიტანელი დიასახლისი ათასობით ფუნტ სტერლინგს ხარჯავს თავის ოთხი წლის გოგონას სილამაზის კონკურსებზე.

ლორა ჩანგი, ქალაქ უოლსოლიდან, საკუთარ ასეთ ხარჯებს იმით ხსნის, რომ მის ბავშვს ლილი-მეის ძალიან უყვარს „გამოპრანჭვა“. 23 წლის ქალმა აღიარა, რომ სამი ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა ბავშვების სილამაზის კონკურსებისთვის ჩასაცმელების შესაძენად და ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

ლილი-მეი სილამაზის კონკურსებში ორი წლის ასაკიდან თვეში ერთხელ მაინც მონაწილეობს. ამ დროის მანძილზე მან დაახლოებით 30 კონკურსში გაიმარჯვა და დედამისი გულმოდგინედ ინახავს მის ჯილდოებს.

ჩანგი ამტკიცებს, რომ ის ბავშვს კონკურსებში მონაწილეობას არ აიძულებს და მიაჩნია, რომ ისინი მის შვილს საკუთარი თავის შეფასებაში ეხმარება.

## საკუთარი ქალწულობის გამყიდველმა რუმინელმა აღიარა, რომ ცრუობდა





რუმინელმა გოგონამ ალექსანდრა კეფრენმა, რომელმაც სახელი იმით გაითქვა, რომ საკუთარი ქალწულობა გასაყიდად გამოიტანა, აღიარა, რომ მთელი ეს ისტორია გამოგონილი იყო.

2017 წელს კეფრენმა ერთ-ერთ ესკორტ-რესურსზე გამოაქვეყნა განცხადება, რომ მზად იყო აუქციონზე გამოეტანა მასთან პირველი ღამის გატარების უფლება. მაშინ 18 წლის გოგონამ განმარტა, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა მშობლების გამო გადაწყვიტა, რომლების ბინიდან გამოსახლება ვალების გამო უნდა მომხდარიყო. აუქციონის დაწყებიდან ოთხი თვის შემდეგ, რესურსმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ კეფრენმა ქალწულობა 2,3 მილიონ ევროდ გაყიდა.

ერთი წლის შემდეგ კეფრენმა განაცხადა, რომ მსგავსი რამის გაკეთებას არ აპირებდა და მთელი ეს ისტორია ქალწულობის გაყიდვასთან დაკავშირებით – გამოგონილი იყო. ის ირწმუნება, რომ ვებგვერდმა მას „მარკეტინგული წინადადებით“ მიმართა, რომელიც მას სამოდელო კარიერის დაწყებაში დაეხმარებოდა. უფრო მეტიც, რესურსის შემქმნელები პირდებოდნენ, რომ მისი ოჯახის წევრები ვერასოდეს შეიტყობდნენ მისი განცხადების შესახებ. თუმცა, გოგონას თქმით, ეს ამბავი მთელ მსოფლიოს ერთ დღეში მოედო. მას მშობლებმა და მეგობრებმა ზურგი აქციეს, ხოლო მისი ცხოვრება „ჯოჯოხეთად იქცა“.

ამ ყოველივეს შემდეგ გოგონას დეპრესია დაეწყო და ფსიქოლოგის დახმარება დასჭირდა. კეფრენის თქმით, მან უკვე დაძლია ეს ყოველივე და მეუღლესთან ერთად თავს ბედნიერად გრძნობს.

## ამერიკელი უფროსკლასელი გამოსაშვებ საღამოზე კუბოთი მიიყვანეს

ამერიკის ჯორჯიის შტატის ქალაქ ამერიკუსში, უფროსკლასელი გოგონა გამოსაშვებ საღამოზე კუბოთი მივიდა.



ზეიმის დაწყებამდე სკოლასთან მივიდა კატაფალკი, საიდანაც გადმოიღეს კუბო. იქ მყოფთა გასაკვირად, შიგნით იწვა მათი თანაკლასელი ალექსანდრეა კლარკი, ცოცხალი და მეტად კმაყოფილი.

გოგონამ, რომელმაც ორი წელი იმუშავა ადგილობრივ დამკრძალავ ბიუროში, ასეთი სახით გადაწყვიტა პატივი მიეგო საკუთარი კარიერული არჩევანისთვის.

– ეს არის უბრალოდ ის, რითიც თავად ვარ დაკავებული, – განმარტა გოგონამ, – ეს ჩემი კარიერაა, რომლის გაგრძელებასაც მომავალში ვაპირებ. მე მიყვარს ჩემი სამუშაო.

კლარკის თქმით, ამ ყოველივეს სხვა მიზანიც ჰქონდა. მისი საშუალებით სურდა თანაკლასელებისთვის მიენიშნებინა, რომ წვეულების შემდეგ მანქანის საჭესთან არაფხიზელ მდგომარეობაში დაჯდომა არ ღირდა.

## ამერიკული ქალაქი ფეკალური მატარებლის ტყვეობაში აღმოჩნდა

მატარებელი, რომელსაც ფეკალიები გადაჰქონდა ალაბამას შტატის ქალაქ პერიშში გაიჭედა. ქალაქის მცხოვრებლები აუტანელ სუნს უჩივიან.

ექსკრემენტებით სავსე ვაგონები უკვე ორი თვეა დგას პერიშში, სადაც 982 ადამიანი ცხოვრობს.



– ეს სუნი უბრალოდ აუტანელია, განსაკუთრებით მზის ამოსვლის შემდეგ, როდესაც ჰაერი თბება. ეს არის ხრწნის და ლპობის სუნი, სიკვდილის სუნი, – განაცხადა ქალაქის მერმა ჰიზერ ჰოლმა.

ვინაიდან ვაგონები სოფტბოლის მოედნების ახლოსაა გაჩერებული, სადაც მოსწავლეთა შეჯიბრებები იმართება, ბავშვები იძულებულნი ხდებიან, სხვაგან ივარჯიშონ და ითამაშონ. აღნიშნული ტვირთი ქალაქ ჯეფერსონში უნდა ჩასულიყო, მაგრამ მისი მცხოვრებლები ამის წინააღმდეგი არიან. ამის გამო მატარებელი პერიშში გაიჭედა და სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება. ჰოლს იმედი აქვს, რომ ყველაფერი ზაფხულამდე მოგვარდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცხეების დადგომის შემდეგ, ამ სუნის გაძლება უბრალოდ შეუძლებელი გახდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 24 აპრილისთვის



**ვერძი** – მამაკაცებს საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად შანსი გეძლევათ. გავლენიანი მფარველის დახმარება არ დააყოვნებს. **კურო** – ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ. სასიცოცხლო პოტენციალი საკმაოდ მაღალია. **ტყუპები** – ნებისმიერ სიტუაციაში სიფხიზლე გმართებთ. ყურადღების მოდუნება დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – საქმიან პარტნიორებს მიენდეთ. მათგან ხელსაყრელ კონტრაქტს მიიღებთ. **ლომი** – ფანტაზიას გასაქანი მიეცით. დროს წვრილმან კამათსა და საქმის გარჩევებში ნუ დაკარგავთ. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. **სასწორი** – იოლად ნურავის ნურაფერს დაჰპირდებით. ჯერ საკუთარი შესაძლებლობების რეალურობაში დარწმუნდით. **ღრიანკალი** – მოვლენების საღად აღქმაში მეგობრები დაგეხმარებიან. ახალი იდეების მოზღვავებას გრძნობთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ ჭორებს, სხვისი ცხოვრების განხილვას. მეტი დრო გაატარეთ სახლში. **თხის რქა** – ალღო არ გღალატობთ. თუ გადაწყვეტილებას მიიღებთ, სისრულეში მოიყვანეთ. **მერწყული** – იყავით მოსიყვარულე და დამთმობი. მოვლენებს ნუ გაუსწრებთ. ბუნების წიაღში გასვლა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთო გავლენას მოახდენს. **თევზები** – დაძაბული დღეა. შეეცადეთ, ემოციებს არ აჰყვეთ. იყავით მობილიზებული.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. პატარა მაღაზია-სახელოსნო იტალიაში; 6. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 9. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 15. ჯაშუშთა ქსელის ხელმძღვანელი უცხო ქვეყნებში; 16. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. რაიმეს შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ სახელმწიფოში, მეფის მცირეწლოვანების გამო; 22. ოპერა „ლაკმეს“ კომპოზიტორი.

**თარაზულად:** 5. შვეიცარიის ძველი სახელწოდება; 7. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. მგალობელი ჩიტი; 12. ქვეწარმავლის შხამი; 13. გამარტივებული ნახაზი; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. ფულის ერთეული ერაყში; 23. პოემა „გველისმჭამელი“-ს პერსონაჟი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. ვაზის ნასხლავი; 26. ბელორუსიის ფეხბურთელთა გუნდი; 27. საქონელზე, პროდუქციაზე დაკრული სავაჭრო ნიშანი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**





## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. „მერანი“; 5. მაკარენა; 6. საუნა; 7. კრატერი; 8. ემბაზი; 10. ქურქი; 13. რებუსი; 15. ზეფირი; 16. რისა; 17. სინი; 20. ტენორი; 21. სირაჯი; 22. ფანდური; 23. დეკადა.

**შვეულად:** 1. კათედრა; 2. პარმეზანი; 3. ტაბურეტი; 4. მარხილი; 5. მინუსი; 9. ზვირთი; 11. ქარსალი; 12. მიზანი; 14. ბარტერი; 18. იდენი; 19. ლორდი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ტულა; 2. ისი. 3. პლასტი; 4. სალათა; 5. კალანდია; 6. ლასტი; 7. ილი; 8. მესა; 9. კლიო; 10. ოლიფა; 11. ლოჟა; 12. დარტანიანი; 13. რომი; 14. კამათი; 15. აკორდი; 16. ამონასრო; 17. კომეტა; 18. პარმეზანი; 19. ნეტარი; 20. ორდალია; 21. კეპლერი; 22. რაპირა; 23. პრესტიჟი; 24. იდო; 25. კიმონო; 26. ენიო; 27. როდეო; 28. ჰანს; 29. ნონა; 30. ილიამნა; 31. აია; 32. მარაო; 33. ნავი.

**სურათებზე:** ჰელენ მირენ; ადრიანო.

# „სუხიშვილები“ მოატყუეს




სამშენებლო კომპანიამ „სვეტი“ სუხიშვილები მოატყუა. ანსამბლის ერთ-ერთ კონცერტზე სამშენებლო კომპანია 20-მდე მოცეკვავეს ბინის გადაცემას დაპირდა, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა და მოცეკვავეები რიგით მოქალაქეებთან ერთად მოტყუებულები აღმოჩნდნენ.

ინფორმაცია სამშენებლო კომპანია „სვეტის“ თაღლითობის შესახებ ჟურნალისტმა ელისო კილაძემ გაავრცელა:

— საქართველოს მთავრობის და თბილისის მერიის საყურადღებოდ: სამშენებლო კომპანია „სვეტი“ ეწევა ჩვეულებრივ აფერას, ემიგრანტებისგან და მოქალაქეებისგან აკრეფილია დიდი ოდენით თანხა და ბინები გაყიდულია ჰაერში.

წლის ბოლოს ზუსტად ისეთივე პრობლემების წინაშე აღმოჩნდებით, რა პრობლემებიც „ცენტრ-პოინტს“ ჰქონდა. „სვეტის“ მიერ დაზარალებული მობინადრეები დამიკავშირდით პირადში.

ვინც აქამდე არ იცოდით, გაფრთხილებთ, აფერისტებთან გაქვთ საქმე, არ ენდოთ! ხალხი სუხიშვილების რეკლამას ენდო, სუხიშვილები ისევე მოატყუეს, როგორც ხალხი!

ემიგრანტებო, ფრთხილად!

# დავით შემოქმედელის პოეზიაზე სპექტაკლი დაიდგა



რუსთაველის საზოგადოების ხელმძღვანელის დავით შემოქმედელის პოეზიაზე სპექტაკლი დაიდგა. მისი ჩვენება 25 აპრილს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართება.

„პეპელას ფრთებზე დაწერილი თავისუფლება“ — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელსაც 2009-2010 წლის თეატრალური სეზონის საუკეთესო მსახიობი საქართველოში ბელა კიკვაძე წარადგენს. ეს არის მონოსპექტაკლი, სადაც დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

**დავით შემოქმედელი:**

— „პეპელას ფრთებზე დაწერილი თავისუფლება“ ეს არის ჩემი ლექსებიდან და პოემებიდან ამოკრეფილი საუკეთესო ადგილებით შედგენილი მონოსპექტაკლი. გამოყენებული მასალა ზოგი ახალია, ზოგიც ძველი.

— თქვენი შემოქმედების მიხედვით მონოსპექტაკლი პირველად იდგმება?

— არა. ჩემი ლექსებითა და პოემებით სპექტაკლი იზა ვეფხვაძემაც დადგა, რომელიც რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრის დამაარსებელია.

— კიდევ რომელი მსახიობისგან უნდა ველოდოთ თქვენი შემოქმედების სცენაზე გადატანას?

— მოზარდ მაყურებელთა თეატრის, პავლე ნოზაძე მუშაობს სპექტაკლზე, რომელიც ჩემი ლექსებით და პოემებით იქნება აწყობილი. მისი პრემიერა, სავარაუდოდ, გვიან შემოდგომაზე გაიმართება.

# ქართველი მომღერლები საზოგადოების აგრესიას აპროტესტებენ





აჩიკო ნიჟარაძე, მაია დარსმელიძე და ნატალია ქუთათელაძე საზოგადოების აგრესიას აპროტესტებენ, რომელიც ქართველი გოგონას და შავკანიანი ბიჭის ქორწინებამ გამოიწვია.

კუს ტბაზე გადაღებული ფოტო, სადაც თეთრ ჩოხაში გამოწყობილი შავკანიანია აღბეჭდილი, უმრავლესობამ მიიჩნია, რომ ამ ქვეყანაში ყველაზე დიდი უბედურებაა.

ქართველმა გოგონამ და შავკანიანმა სიძემ ჯვარიც დაიწერეს და ქორწილიც გადაიხადეს. მათ გართობა კარაოკე მუშტაიდში გადაწყვიტეს, სადაც წამყვანი თამუნა მუსერიძე იყო.

**აჩიკო ნიჟარაძე:**

— ხალხი, მეჩვენება, რომ ძალიან გაბოროტებულია. რას ერჩით ამ ადამიანებს, დაქორწინდნენ და აშკარად ამ კაცმა თავისი ნაბიჯით საქართველოს და მისი ტრადიციის მიმართ გამოხატა პატივისცემა. ვინ გეკითხებათ, ვინ ვის გაყვება ცოლად. რა ტვინი შეჭამეთ მართლა. გეყოფათ სხვისი ცხოვრების განხილვა, ძალიან დაბალ დონეს ამჟღავნებთ ამ საქციელით. ულოცავ ამ წყვილს გაბედნიერებას. ყველამ ჩვენ თავებს მივხედოთ და ყველაფერი კარგად იქნება. ადამიანების ლანძღვით საქართველოს ვერ გადავარჩენთ ვერავინ. სხვა ბევრი რამ არის მოსაგვარებელი.

**მაია დარსმელიძე:**

— კრეტინებო, ქართული გენის გაქრობას ერთი ორ შავკანიანზე ქორწინება კი არ უწყობს ხელს! ერთმანეთს ყელს რომ ჭრით საკუთარი ბავშვების თანდასწრებით, ცოლებს რომ ხოცავთ ბუზებივით, ქმრებს რომ კლავთ, საყვარლების გამო, ბებიებს რომ აუთოვებთ, სისასტიკით და სიძულვილით სავსე, აგრესიულ ბავშვებს რომ ზრდით, რომ მერე ერთმანეთს ურტყან გამეტებით და ტრაკულად, სხვის საქმეში თქვენს არდაპატიჟებულ ცხვირს რომ ყოფთ ყველგან.

საკუთარი თავისგან დაიწყეთ გენის გაუმჯობესება! მეტი სიყვარული გაეცით, კრეტინებო! და მოეშვით ამ ანტიადამიანური მოწოდებებით გაძეძგილი პოსტების თრევას!

**ნატალია ქუთათელაძე:**

— ჩოხიანი ვაჟკაცები არ არიან დღეს ცემით რო აშტერებენ ქართველ ქალებს? ყელს ჭრიან შვილის თანდასწრებით? აბორტებს უკეთებენ გოგოს ყოლის შემთხვევაში?

მთელი საქართველო ემიგრანტადაა გაქცეული და თვითონ წამოწოლილები მორალზე გველაპარაკებიან?! სანამ სხვას გაკიცხავთ, ჯერ ჩვენსას მოვუაროთ და ჩვენსას მივხედოთ, ამისთანა უსაფუძვლო სიამაყე და სიბეცე რის ხარჯზე მოდის, ვერ ვხვდები...

სამარცხვინო მდგომარეობაა ქვეყანაში განათლებაში, მედიცინაში, ყველა სფეროში კრახს განვიცდით და თურმე ერთი შავკანიანის ჩოხაში ხელის გაყოფამ წნევა უნდა აუწიოს ნახევარ საქართველოს.

სიბეცე და სიშტერე სწორედ ეს არის!

## სამგლოვიარო განცხადებები

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მათი უახლოესი მეგობარი

**თამაზ (გურამ) იჩქიტიძე**

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რამაზ ჩხიკვაძის უკანასკნელი ფილმი ეკრანებზე გამოვა



„ზამთრის ნოველა“ — ასე ეწოდება ფილმს, რომელიც მსახიობ რამაზ ჩხიკვაძისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.

ფილმი დოკუმენტური ფილმების სტუდია „რაკურსმა“ გადაიღო და მისი რეჟისორი დავით ცინცაძეა.

ფილმში რამაზ ჩხიკვაძესთან ერთად მონაწილეობენ რუსუდან ბოლქვაძე, ნინო ლეჟავა, ნანა ხურითი, ლეო ანთაძე, სოსო ლაღიძე, კირა ანდრონიკაშვილი, ქეთი ყიასაშვილი, მერაბ ანდრონიკაშვილი, მერაბ ამირიძე, თამუნა კბილაშვილი, ანა თუმანიშვილი და პირველად ეკრანზე ლიკა მასპინძელაშვილი.

„ზამთრის ნოველის“ სარეკლამო რგოლი ინტერნეტში უკვე გამოჩნდა. მას ათასობით მოწონება და ნახვა აქვს. როგორც შემოქმედებითი ჯგუფი აცხადებს, მაყურებელი ფილმის ნახვას ძალიან მალე შეძლებს.

# იტალიის მიერ კანის კინოფესტივალზე წარდგენილ ფილმში მთავარ როლს ლუკა ჩიქოვანი თამაშობს



კანის კინოფესტივალის ერთ-ერთი მთავარი პრიზის — ოქროს პალმის რტოს მოსაპოვებლად წელს იტალიამ ალიჩე როჰვახერის ფილმი „ბედნიერი ლაზარე“ წარადგინა.

ფილმში ერთ-ერთ მთავარი როლს 24 წლის ლუკა ჩიქოვანი თამაშობს, რომელიც თბილისში დაიბადა, თუმცა ახლა იტალიელი მომღერალია. მისი სიმღერები იუთუბშია ატვირთული და ათასობით ნახვა აქვს. მომღერლის ერთ-ერთი კლიპი კი საქართველოშია გადაღებული და 90-იანი წლების მძიმე პერიოდს ეხება.

# ქართული ანიმაციური ფილმი „ჯინო“ ინდოეთში გრან პრის მფლობელი გახდა



ქართული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ ინდოეთის საერთაშორისო საბავშვო ფილმების ფესტივალზე გრან პრის მფლობელი გახდა. იგი ფესტივალის საუკეთესო ანიმაციურ ფილმად აღიარეს.

„ჯინო“ პირველი ქართული 3დე ანიმაციაა, რომელიც ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

იგი გომბეშო ჯინოსა და მისი მეზობლების თავგადასავლის შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც ტბის გარშემო დაწყებული მშენებლობის გამო იძულებული ხდებიან, დაივიწყონ განსხვავებული შეხედულებები და ერთად იბრძოლონ საერთო საქმისთვის, სახლის გადასარჩენად.

# პანტომიმის თეატრი ჩარეცხეს



საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ჩარეცხეს. როგორც მისი დირექტორი ამირან შალიკაშვილი უმცროსი აცხადებს, თუკი აქამდე წყალი საგრიმიოროებსა და შემოსასვლელებში ჩადიოდა, ახლა უკვე სცენასა და პარტერში უწყვეტი ნაკადით ჩაედინება. დატბორილი თეატრის ვიდეო სოციალურ ქსელში პანტომიმის თეატრის დირექტორმა გაავრცელა და განაცხადა, რომ ყველაფერი სპეციალურად კეთდება, რათა პანტომიმის თეატრმა მუშაობა ვერ შეძლოს.

**ამირან შალიკაშვილი უმცროსი:**

— გული მტკივა. სირცხვილია მეგობრებო. ვიცი, რომ ეს სპეციალურად გაკეთებულია, მაგრამ რაც არ უნდა წყალი დამასხათ თავზე, რაც არ უნდა დენი ჩამიჭრათ, რაც არ უნდა ნაგავი მაყაროთ, მაინც არ გამოვა არაფერი, მაინც არ დაიხურება ეს თეატრი და მაინც გავიმარჯვებთ და მაინც ვიმოქმედებთ ისე, როგორც საჭიროა.

თუკი აქამდე წყალი ჩამოდიოდა შემოსასვლელებში, საგრიმიოროებში, ახლა უკვე გადავიდნენ სცენაზე, პარტერზე, შუა სპექტაკლის დროს... ამიტომ თქვენ თვითონ დაასკვენით, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან და რა ხდება.

იმედია, ხვალ-ზეგ ეს თეატრი ძალიან ცუდ დღეში არ დაგხვდებათ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ჩინეთის რეგიონები ცოცხალი ადამიანების საფლავებით ივსება



ჩინეთის ერთ-ერთ რეგიონში ახალგაზრდა ჩინელები მასობრივად ყიდულობენ საფლავებს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს. ჩინეთის ხუბეის პროვინციის ტუნჩენის ოლქში ცოცხალი ადამიანებისთვის 80 ათასამდე საფლავია შესყიდული, რომელთა შორის ბევრი 10 წლამდე ბავშვებისთვისაა. ოლქის 78 ათასი მცხოვრებლის 95 პროცენტზე მეტის ასაკი 60 წელს აღემატება, ასევე ბევრმა ახალგაზრდამაც უკვე შეიძინა და მოიმზადა საფლავი.

მრავალრიცხოვანი ცარიელი საფლავებით გაივსო ოლქის მინდვრები და გზის პირები. ბევრ საფლავზე უკვე გაკეთებულია წარწერა მისი მომავალი ბინადარის ვინაობით და დაბადების თარიღით.

ამ ყოველივეს მიზეზი გახდა ადგილობრივი ტრადიცია. 30 წლის ასაკისთვის, როგორც წესი, ადამიანი საკუთარ საბოლოო განსასვენებელ ადგილს იწყობს.

*ქ. ხ.*

**ახალი თაობა**

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

24 აპრილისთვის

აშშ დოლარი — 2.4402

ევრო — 3.0017

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4343

100 რუსული რუბლი — 3.9729

**ამინდის პროგნოზი 24 აპრილისთვის**






# 3 აპრილიდან

## 79 ამბავი ზვიად გამსახურდია




**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**




# 5 აპრილიდან

## 150 ამბავი ნობელიანტი ფიზიკოსები

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

თან საკითხავი

# 19 აპრილიდან

## 120 ამბავი ალექსანდრე მაკედონელი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**






# რეალი ზაფხულში სალაჰისთვის იბრძოლებს




მადრიდის რეალი ზაფხულში ლივერპულის ვარსკვლავ მოჰამედ სალაჰის შეძენას შეეცდება. სალაჰი წლევანდელ სეზონში ძალიან შედეგიანია და მან უკვე 41 გოლის გატანა მოახერხა. მისი კარგი თამაში რეალის ხელმძღვანელობას არ გამორჩენია და სამეფო კლუბი ზაფხულში სალაჰისთვის იბრძოლებს.

რეალი მზად არის სალაჰის ტრანსფერში 200 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა ეს ინფორმაცია რეალის წარმომადგენლებს ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

თვითონ სალაჰმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ლივერპულში ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს.

# ჩინელებმა გართობის მიზნით კენგურუ ქვებით ჩაქოლეს



ერთი კენგურუ დაიღუპა, ხოლო კიდევ ერთი დაშავდა მას შემდეგ, რაც ჩინეთის ქალაქ ფუჩჟოუს ზოოპარკის დამთვალიერებლებმა მათ ქვები დაუშინეს.

ინციდენტი დაახლოებით ერთი თვის წინ მოხდა, მაგრამ ამის თაობაზე ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გავრცელდა. 12 წლის კენგურუმ ფეხის ტრავმა მას შემდეგ მიიღო, რაც მას პირბასრი ქვები ესროლეს. კენგურუს იარა დაუმუშავეს და ვენაში წამლის ინექცია შეუყვანეს, თუმცა ის რამდენიმე დღის შემდეგ მაინც დაიღუპა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ ცხოველის დაღუპვის მიზეზი გახდა მისთვის მიყენებული ტრავმის შედეგად თირკმლის გახეთქვა, რასაც შიდა სისხლდენა მოჰყვა. რამდენიმე კვირის შემდეგ ანალოგიური სიტუაცია განმეორდა – ხუთი წლის კენგურუს ქვები დაუშინეს, თუმცა ის მსუბუქი დაზიანებებით გადარჩა.

ზოოპარკის ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, ეს ცხოველები აქტიურები დილით რვიდან ათ საათამდე არიან, შემდეგ კი – დღის სამიდან ხუთ საათამდე. დანარჩენ დროს ისინი ხეების ჩრდილში ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ ვოლიერებთან განთავსებულია სპეციალური წარწერები, დამთვალიერებლები მათ ზოგჯერ მაინც ესვრიან სხვადასხვა ნივთებს, რათა ისინი აიძულონ, იმოძრაონ. მას შემდეგ, რაც ზოოპარკის თანამშრომლებმა კენგურუების ირგვლივ ტერიტორია ქვებისგან გაწმინდეს, დამთვალიერებლებს ისინი სხვა ადგილებიდან საგანგებოდ მოაქვთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# იუმორი

•••

მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად სურათები გადაიღო და ცდილობს, ისინი დაითანხმოს, რომ ეს ფოტოსურათები იყიდონ.

– წარმოიდგინეთ, როგორი კარგი იქნება, როდესაც უკვე დიდები იქნებით, ფოტოსურათს დახედავთ და იტყვით: „აი, ეს მარინაა, ის უკვე მსახიობია, აი ვანო, ის ექიმი გამოვიდა...

ამ დროს ბოლო მერხიდან გიგის ხმა ისმის:

– ეს კი ჩვენი ყოფილი მასწავლებელია, დიდი ხანია უკვე, რაც ფეხები გაჭიმა...

•••

ორი ანთროპოლოგი ორ სხვადასხვა კუნძულზე დასახლდა და აბორიგენებზე დაკვირვებას აწარმოებს. გარკვეული დროის შემდეგ ერთი ანთროპოლოგი მეორეს ეწვია, აბორიგენებით გარემოცული დაინახა და ეკითხება:

– აბა, როგორ არის საქმე?

– შესანიშნავად! პირველი აღმოჩენა გავაკეთე! აი, ნახე.

მან თითი პალმის ხისკენ გაიშვირა და აბორიგენებს ეკითხება:

– ეს რა არის?

– მვამბამატანგა!

შემდეგ თითით კლდეზე მიანიშნა და ისევ ეკითხება:

– ეს რა არის?

– მვამბამატანგა!

შემდეგ თითი ცისკენ აიშვირა და ეკითხება:

– ეს რა არის?

– მვამბამატანგა!

– აი, ხედავ? – მიუბრუნდა მეორე ანთროპოლოგს, – მათ ანბანში მხოლოდ ერთი სიტყვა აქვთ – მვამბამატანგა!

მეორე მეცნიერმა ჩაილაპარაკა:

– უცნაურია! ჩემს კუნძულზე „მვამბამატანგა“ საჩვენებელ თითს ნიშნავს...

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ცოლი მოვიყვანე და მასთან ქორწილამდე არ ვწოლილვარ. და შენ?

– რა კითხვას მისვამ! საიდან უნდა მახსოვდეს? და შენს ცოლს რა ჰქვია?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ვალვერდემ სეზონის ბოლოს შესაძლოა ბარსელონა დატოვოს



ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ სეზონის ბოლოს ერნესტო ვალვერდემ შესაძლოა ბარსელონა დატოვოს, მიუხედავად იმისა, რომ მან ესპანეთის თასი უკვე მოიგო, ჩემპიონობამდე კი ძალიან ცოტაა დარჩენილი. რომასთან მარცხმა ბარსელონას ხელმძღვანელობა გაანაწყენა და შესაძლოა ვალვერდეს კარისკენ მიუთითონ, თუმცა ოფიციალური კომენტარი ამ თემის გარშემო არ გაკეთებულა.

თვითონ ვალვერდე ასევე არ საუბრობს თავის მომავალზე და მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლება. სავარაუდოდ, ვალვერდეს ბედი ზაფხულში გადაწყდება.

# ნაპოლიმ იტალიის ჩემპიონატში ინტრიგა დააბრუნა




ნაპოლიმ გასვლაზე იუვენტუსი დაამარცხა 1:0 და იტალიის ჩემპიონატში ინტრიგა დააბრუნა. ერთადერთი გოლი მატჩის ბოლო წუთზე ნაპოლის ცენტრალურმა მცველმა კულიბალიმ გაიტანა თავური დარტყმით.

ამ გამარჯვების შემდეგ ნაპოლი იუვენტუსს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება და წინ კიდევ 4 ტურია.

აღსანიშნავია ისიც, რომ იუვენტუსს 2 რთული შეხვედრა ელის ინტერთან და რომასთან გასვლაზე, ამიტომ ნაპოლის ჩემპიონობის რეალური შანსი აქვს.

ინტერთან მატჩი შემდეგ ტურში გაიმართება და ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

# ვენგერი შესაძლოა სხვა ინგლისურ კლუბს ჩაუდგეს სათავეში



ჩვენ უკვე ვწერდით, რომ არსენალის მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომ სეზონის ბოლოს ის გუნდიდან წავა და ამით დასრულდება მისი 22-წლიანი სამწვრთნელო პერიოდი არსენალში. ვენგერს უკვე დაუსვეს კითხვები მისი მომავლის შესახებ, რაზეც არსენმა უპასუხა, რომ მან ჯერ არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები. ვენგერმა არ გამორიცხა სხვა ინგლისური კლუბის გაწვრთნის შესაძლებლობა, თუმცა დაამატა, რომ ეს მისთვის ემოციური თვალსაზრისით რთული იქნება. რაც შეეხება არსენალს, ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ დაიკავებს ვენგერის ადგილს.

# ზიდანი ბაიერნისთვის განსაკუთრებით ემზადება



მადრიდის რეალის მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ მისი გუნდი ბაიერნთან თამაშისთვის განსაკუთრებით ემზადება, რადგან რეალს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მოგების შანსი აქვს, სხვა ყველა ტურნირში მადრიდელებმა მარცხი განიცადეს.

– ბაიერნთან ურთულესი მატჩები გველის და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები იქნება, რადგან თუ ჩემპიონთა ლიგა ვერ მოვიგეთ, მაშინ წელს უტიტულოდ დავრჩებით. არ მინდა, რომ ეს ასე მოხდეს, – განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რაიმე საქმეში უაღრესად დახელოვნებული ადამიანი; 2. მუქი წითელი ფერის კურკოვანი ხილი; 3. ნავსადგური იორდანიაში; 4. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 5. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 10. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 11. აშშ-ს პირველი პრეზიდენტი; 12. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონას“ ფეხბურთელი; 15. საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ოქრომჭედელი; 16. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამასებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. შავი ზღვის ძველი ბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. სამოქალაქო სამართალი; 7. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 8. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 9. კათოლიკური რელიგიური საგალობელი; 13. არომატული, მატონიზირებელი, უალკოჰოლო სასმელი; 14. ბოშათა წინამძღოლი; 18. ფრანგი მარშალი, შვედეთის მეფე; 19. მტრედის ბარტყი; 21. გურულების, აჭარლების მოკლე ჩოხა; 22. მხარე ავსტრიაში; 23. პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში; 24. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

